პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი | № 196 (11200) | სამშაბათი, 26 აგვისტო, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

საოქტომბრო შრომითი ვახტი

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება ჩვენს ქვეყანაში ტრადიციად იქცა. ყოველი საბჭოთა მშრომელი თავის პატრიოტულ მოვალეობად თვლის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს გმირულ შემოქმედებითს შრომაში მოპოვებული ახალ-ახალი გამარჯვებებით შეხვდეს.

ასეა წელსაც. სამრეწველო საწარმოებში, ტრანსპორტზე, მშენებლობებზე, საკოლმეურნეო სოფელში, მეცნიერებისა და კულტურის ფრონტზე ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ჩვენი ქვეყნის მშრომელები განუხრელად ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიმართულია საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის დონის მკვეთრი გაუმჯობესებისაკენ, ჩვენი სამშობლოს ძალისა და ძლევამოსილების შემდგომი განმტკიცებისაკენ.

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით მტკიცედ და თანმიმდევრულად აშენებს კომუნიზმს. ამ დიადი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე ჩვენი ხალხის მორიგი შესანიშნავი გამარჯვება იყო მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის — ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგის ჰიდროელექტროსადგურის ამუშავება, რაც ამას წინათ მოხდა.

ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის აღსანიშნავად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი ინიციატორები არიან თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი და გარეუბნის რაიონის კოლმეურნეები. თბილისელმა მეორთქლმავლეებმა, აწონ-დაწონეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, ვალდებულება აიღეს წლიური საწარმოო დავალება 7 ნოემბრისათვის შეასრულონ. მეორთქლმავლეები პირნათლად ანაღდებენ დანაპირებს. საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ფართოდ ჩაებნენ და მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ თბილისის საელმავლო დეპოს, მაუდ-კამოლის კომბინატის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, საელმავლო დეპოს, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის, ი. ბ. სტალინის სახელობის მაღაროს, ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების, სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის, მთავართბილისმშენის და რესპუბლიკის ბევრი სხვა საწარმოს კოლექტივები.

რედაქციაში ყოველდღე მოდის სასიხარულო ცნობები იმის შესახებ, რომ სამრეწველო საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის გამოშვების 8 თვის გეგმები. სამშობლოს საკეთილდღეოდ მიდის გეგმის გადამეტებით გამოშვებული ქართული ვარგანეცით, ქვანახშირით, საშენი მასალებით, ჩარხებით, მანქანებით, ფართო მოხმარების საქონლით დატვირთული ეშელონები. დაწინაურდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი, რომელმაც პროდუქციის გამოშვების 8 თვის გეგმა 20 აგვისტოსათვის გაანაღდა. ახლა ზესტაფონელი მეტალურგები იმისათვის იბრძვიან, რომ წლიური საწარმოო პროგრამა ვადაზე ადრე დიდი გადაჭარბებით შეასრულონ.

ძვირფასი თაოსნობა გამოიჩინეს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მეჩაიეებმა, რომლებმაც მოუწოდეს რესპუბლიკის ყველა მეჩაიეობის რაიონის მშრომელებს მისცენ სამშობლოს ჩაის მოსავალი გეგმის გადამეტებით. ამ პატრიოტულ ინიციატივას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა. ჩაის პლანტაციებში ახალი ძალით გაჩაღდა შრომა. მივცეთ საბჭოთა ხალხს მეტი და მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი, — აი საქართველოს მშრომელთა საბრძოლო ლოზუნგი.

დღეს თვითეული ჩვენგანი ნათლად ხედავს ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მიღწევებს, რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მთელი საბჭოთა ხალხის აქტიური შრომითი მონაწილეობით. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაციის განხორციელების შედეგად შესანიშნავი პირობები შეიქმნა მშრომელთა ფართო შემოქმედებითი აქტივობის შემდგომი განვითარებისათვის, საწარმოო რესურსების უკეთ გამოყენებისათვის, სამრეწ ვ ე ლ ო პროდუქციის გამოშვების მკვეთრი გადიდებისათვის.

ახლა ამოცანა ის არის, რომ რაც შეიძლება სრულად, რაციონალურად გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობანი. საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება უნდა წარიმართოს წარმოების ავტომატიზაციისა და მექანიზაციისათვის, ნედლეულისა და დამხმარე მასალების ეკონომიისათვის, პროდუქციის გამოშვების გადიდების, თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის შეუპოვარი ბრძოლის ნიშნით. პარტიული, კომკავშირული და განსაკუთრებით პროფკავშირული ორგანიზაციები ყოველდღიურად, საქმის ცოდნით უნდა ხელმძღვანელობდნენ სოციალისტურ შეჯიბრებას საწარმოო გეგმების ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ისინი მოვალენი არიან შექმნან პირობები იმისათვის, რომ სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებანი შეასრულოს საწარმოს ყოველმა რგოლმა, ყოველმა მუშამ, დაუღალავად იბრძოდნენ წარმოებაში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვისათვის.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგები უნდა მოწმდებოდეს ყველა საწარმოო მაჩვენებლის მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოოპერირებული და სპეციალური დაკვეთების შესრულებას, რის მიმართ ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელები გულგრილობას იჩენენ. მაგალითად, შეუწყნარებელია ის გარემოება, რომ ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის და თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივები დამკვეთ საწარმოებს თავის დროზე არ უგზავნიან ფოლადის ნაწარმს, ჩარხებს. ჩვენი მოვალეობაა დაუყოვნებლივ აღმოვფხვრათ სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის ფაქტები, რაც, კერძოდ, გამოიხატება საკუთარი საწარმოო ინტერესების ვიწრო ნაბუქში ჩაკეტვით, სხვა საწარმოთა დაკვეთების შეუსრულებლობით.

შეჯიბრების ძალა მის მასობრიობაშია. დიდი ოქტომბრის დღესასწაულის აღსანიშნავად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება ნამდვილად ყველაზე მასობრივი შეჯიბრებაა. საოქტომბრო ვახტზე მილიონობით საბჭოთა ადამიანი დგას. ახლა მთავარია ყველა საწარმომ, ყველა კოლექტივმა, ყველა მუშამ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებანი, ამ საქმეში მათ მხარში უნდა ამოუდგნენ პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები. საჭიროა მკვეთრად გავაძლიეროთ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა. ვიზრუნოთ იმისათვის, რომ შეჯიბრება კიდევ უფრო აზვირთდეს და ყოველ დღეს ახალ-ახალი წარმატებები მოჰქონდეს.

საბჭოთა ადამიანები თავდადებული შრომით განმტკიცებენ სოციალისტურ სახელმწიფოს. ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა მშრომელები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ გმირულ შემოქმედებითს შრომაში ახალ დიდმნიშვნელოვან წარმატებებს მოიპოვებენ საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ქალაქ ვლადიმირში გაიხსნა ვ. ი. ლენინის ძეგლი

ვლადიმირი, 24 აგვისტო. (საკ.). დღეს აქ ქალაქის 850-ე წლისთავის დღესასწაულის გამო გაიმართა ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი მრავალათასიანი მიტინგი.

ილიჩის ბრინჯაოს ფიგურა დადგმულია ექვსმეტრიან გრანიტის კვარცხლბეკზე.

მიტინგზე გამოვიდნენ ქალაქის მშრომელთა წარმომადგენელნი. მათ ილაპარაკეს საწარმოთა კოლექტივების ახალ წარმატებებზე, ბრძოლაზე დიდი ლენინის ანდერძის განხორციელებისათვის.

ПАКИСТАНИС ЕРОВНУЛИ КРЕБИС ТАВМჯДОМАРЕ თბილისში

23-დან 24 აგვისტომდე თბილისში იყო პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარე აბდულ ვაჰაბ-ხანი, რომელიც საბჭოთა კავშირში სტუმრად არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეთა მოწვევით.

ბ-ნმა აბდულ ვაჰაბ-ხანმა დაათვალიერა თბილისი, იყო მეჩეთში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიდმის სასწავლო მეურნეობაში.

აბდულ ვაჰაბ-ხანი შეხვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ვ. დ. კოზაევს.

სტუმრის პატივსაცემად გაიმართა სადილი.

24 აგვისტოს პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარე აბდულ ვაჰაბ-ხანი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობას განაგრძობს, სოჭს გაემგზავრა.

(საქ. ინ.).

СОЦИАЛИСТУРИ ШЕჯИБРЕБАШИ გАМАРჯВЕБУЛНი

ფოთის ნავსადგურის კოლექტივი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ცნობას, რომ მიმდინარე წლის მეორე კვარტალის საწარმოო დავალების წარმატებით შესრულებისათვის ნავსადგურის კოლექტივს (უფროსი კ. რეკვავა) მიეკუთვნა სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროსა და საზღვაო ფლოტის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ნავსადგურის მექანიზატორებმა, მტვირთავებმა, მეზღვაურებმა, ყველა მშრომელმა მაღალი ჯილდოს პასუხად ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის.

* * *

სსრ კავშირის პურის პროდუქტების სამინისტრომ, სოფლის მეურნეობის, დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნეს ბორჯომის ბაზის კარგი მუშაობა და ბაზის კოლექტივს გამოუცხადეს მადლობა.

შირის ცენტრალურმა კომიტეტმა მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით პურის პროდუქტების საწარმოებს შორის გაჩაღებულ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს თბილისის № 1 წისქვილ-კომბინატის კოლექტივი და მიაკუთვნეს მას მეორე ფულადი პრემია. მეორე კვარტალში კარგი საწარმოო მაჩვენებლებისათვის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა და მეორე ფულადი პრემია მიეკუთვნა აგრეთვე დიდუბის სარეალიზაციო ბაზის კოლექტივს.

სსრ კავშირის პურის პროდუქტების სამინისტრომ, სოფლის მეურნეობის, დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნეს ბორჯომის ბაზის კარგი მუშაობა და ბაზის კოლექტივს გამოუცხადეს მადლობა.

სპორტული ზეიმი დედაქალაქში

გაიხსნა პროფკავშირთა VI სპარტაკიადამდე მიძღვნილი ზეიმი

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. პროფკავშირთა VI საზაფხულო სპარტაკიადის საზეიმო გახსნა. ხურაბოზე: მედროშეთა პარადი.

ფოტო ვ. ბოლოდკინისა.

მოსკოვი. 24 აგვისტო. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს ფიზკულტურელის საკავშირო დღე. ეს ზეიმი განსაკუთრებით გრანდიოზული და მიმზიდველი იყო დედაქალაქში — მოსკოვში. წელს ფიზკულტურელის საკავშირო დღის აღნიშვნას დაემთხვა მიმდინარე სასპორტო სეზონის ყველაზე საინტერესო და მასობრივი ასპარეზობის — პროფკავშირთა VI საზაფხულო სპარტაკიადის გახსნა.

დიდ სპორტულ დღესასწაულებზე ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი საზეიმო იერს იღებს. ასევე იყო 24 აგვისტოს. შესასვლელებთან ამაყად ფრიალებდნენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ალმები.

ფანფარების ხმა ზეიმის დაწყებას გვამცნობს. სტადიონის ცენტრალურ შემოსასვლელებში გამოჩნდნენ სპორტსმენთა კოლონები.

სპორტსმენები ცენტრალური ტრიბუნის წინ განლაგდნენ. პარადის მონაწილეებს მიესალმა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ა. შევჩენკო. იგი საკავშირო პროფსაბჭოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სახელით ულოცავს სპორტსმენებს დღესასწაულს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სადიდებლად გაისმის ათასობით სპორტსმენის ერთსულოვანი შეძახილები — „დიდება!“, „დიდება!“, „დიდება!“.

მოძმე რესპუბლიკათა წარმომადგენლებს, უკეთესთა შორის საუკეთესოებს აღსამართავად მოაქვთ ალამი. დიდებულად ჟღერს სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. პროფკავშირთა VI საზაფხულო სპარტაკიადა გახსნილად ცხადდება.

სპარტაკიადის მონაწილეებს მიესალმებიან ნორჩი სპორტსმენები — დედაქალაქის პიონერები, აგრეთვე საბჭოთა სპორტის ვეტერანები, სასპორტო საზოგადოებების — „შრომითი რეზერვების“, „ურაღაის“, „სპარტაკის“, „დინამოს“, საბჭოთა არმიის სპორტსმენები.

იწყება სპარტაკიადის მონაწილეთა მსვლელობა, რომელსაც წინ მიუძღვის მედროშეთა დიდი კოლონა. ლამაზი, მწყობრი ნაბიჯით ჩაუვლიან ტრიბუნებს რსფსრ, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს და სხვა მოძმე რესპუბლიკების სპორტსმენები.

მაყურებლები ერთსულოვანი ტაშით აციელებენ მათ.

დედაქალაქის მშრომელები გულთბილად მიესალმებიან საქართველოს სპორტულ დელეგაციას, მის წარმომადგენლებს. ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო ალამი მიაქვს ცნობილ სპორტსმენს ი. ქართველიშვილს.

სპორტსმენთა პარადი დამთავრდა, მაგრამ დღესასწაულის პროგრამა ამით არ ამოწურულა. თითქოს მოულოდნელად, აღმოსავლეთ ტრიბუნიდან მოედანზე ერთბაშად შემოიჭრა 1.200 ნორჩი სპორტსმენი. ისინი ხსნიან ზეიმის მეორე ნაწილს. იწყება მასობრივი ტანვარჯიში. მოედანზე გამოისახა უზარმაზარი ციფრი VI, რაც პროფკავშირთა VI სპარტაკიადის გახსნას აღნიშნავს.

ნორჩ სპორტსმენებს ცვლიან საზოგადოება „ტრუდის“ აკრობატები, რომლებიც ერთსულოვან ტაშს იმსახურებენ.

მოედანზე შემოდის დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების 2.000 სპორტსმენი. ბრინჯაოსფერ გოგონებსა და ჭაბუკებს იშვიათი ოსტატობით აუთვისებიათ რთული, მაგრამ მეტად მომხიბვლელი ვარჯიშები. მომაჯადოებელი მუსიკის და სიმღერათა ფონზე მოედანზე იშლება საუცხოო სანახაობა. მჭუხარე ტაში დიდხანს არ ცხრება, როცა სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ სპორტსმენები ნაირფერი დროშებით მოედანზე ასახავენ ყველასათვის ძვირფას სიტყვებს — დიდება შრომას! მსოფლიოს — მშვიდობა! დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

ამით დამთავრდა ფიზკულტურელის საკავშირო დღისა და პროფკავშირთა VI საზაფხულო სპარტაკიადის საზეიმო გახსნისადმი მიძღვნილი დღესასწაული მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე.

ამავე დღეს სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ალბანეთის „17 ნოემბრის“ გუნდებს შორის.

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. დედაქალაქის მოსწავლეები გამოდიან მოედანზე და მიესალმებიან პროფკავშირთა VI სპარტაკიადის მონაწილეებს.

ფოტო ვ. ბოლოდკინისა.

საინტერესო შეჯიბრება დამთავრდა დედაქალაქის ფეხბურთელთა გამარჯვებით 5:1.

მოსკოვი. 25 აგვისტო. (ტელეფონით სპეც. კორ.). დღეს დედაქალაქის სასპორტო ბაზებზე მიმდინარეობდა შეხვედრები სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის 17-საგე სახეობაში.

როგორც ცნობილია, სპორტული თამაშის წინასწარი შეხვედრები მოეწყო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში. ფინალში თვითეული ჯგუფიდან მონაწილეობას იღებს თითო გუნდი, ჩვენი რესპუბლიკიდან დასკვნითს ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მხოლოდ კალათბურთელმა ქალებმა მოიპოვეს. მათთან ერთად სპარტაკიადის ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად იბრძვიან მოსკოვის, ესტონეთის და ყირგიზეთის გუნდები. პირველი შეხვედრა საქართველოს კალათბურთელებს ყირგიზეთის გუნდთან ექნებათ.

დამთავრდა გუნდური შეხვედრები ჩოგბურთში. პირველობისათვის ბრძოლა ძირითადად მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ესტონეთისა და საქართველოს გუნდებს შორის მიმდინარეობდა. ჩვენი რესპუბლიკის გუნდი სპორტიზო ადგილის უდავო პრეტენდენტი იყო, მაგრამ იგი მოულოდნელად მე-5 ადგილზე აღმოჩნდა, რაშიაც დიდი ბრალი მიუძღვის ჩოგბურთელ ურაევსკის. პროფკავშირთა მე-6 სპარტაკიადის ჩემპიონი ჩოგბურთში გახდა დედაქალაქის გუნდი. მომდევნო სამი ადგილები თანმიმდევრულად გაიყვეს ლენინგრადის, ესტონეთისა და უკრაინის სპორტსმენთა კოლექტივებმა. დაიწყო შეჯიბრება პირადი პირველობისათვის. ხალქართველოს ჩოგბურთელი ქალებიდან წარმატებით გამოდის რიაზანოვა, ვაქებიდან — დარიბაშვილი და ბერულავა. ვაჟთა წყვილებში საპრიზო ადგილების მოსაპოვებლად იბრძვიან ბერულავა და ჭარხალაშვილი, მერეულ წყვილებში — რიაზანოვა და ბერულავა.

გრძელდება შეჯიბრება ქრიკეტში. საქართველოს სპორტსმენებიდან პირველ შეხვედრაში გაიმარჯვა მუკონიანმა. ჩოგოვაძემ და ზაქარიამ შეხვედრები წააგეს.

შედგა აგრეთვე ველოსიპედოსტა ასპარეზობა ძირეული ფიზკულტურული კოლექტივებისათვის. ქალები ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ 25 კილომეტრი მანძილის დაფარვაში, ვაჟები 100 კილომეტრზე რბოლაში. საქართველოს ქალთა გუნდმა მე-13 ადგილი დაიკავა, ხოლო ვაჟთა გუნდი დისტანციიდან გამოვიდა. საერთო გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს ლენინგრადელმა ველოსიპედისტებმა.

25 აგვისტოს დღის მეორე ნახევარში მოეწყო შეხვედრები ფეხბურთში, კალათბურთში, წყალბურთში და სპორტის სხვა სახეობაში.

პროფკავშირთა მე-6 საზაფხულო სპარტაკიადა 29 აგვისტომდე გაგრძელდება.

ვ. გაბელია.

იბრძვიან პირველხარისხოვანი მარგანეცის გამოშვების გაზრდისათვის

პირველხარისხოვანი მარგანეცის გამოშვების გადიდება მაღაროს კოლექტივის ძირითადი საბრძოლო ამოცანაა. სწორედ პირველხარისხოვან მადანს მოითხოვენ მეტალურგიული ქარხნები. პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვების დავალების შესრულება განაპირობებს მაღაროს რენტაბელურად მუშაობას.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ი. ბ. სტალინის სახელობის მაღაროში გასულ წელს ნაკლები ყურადღება ექცეოდა დანაკარგებთან ბრძოლას და მადნის პირველად გამდიდრებას, მარგანეცის გამამდიდრებელ ფაბრიკებში ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებას და წარმოების კულტურის ამაღლებას. მაღაროს კოლექტივი წუნდებულ პროდუქციას უშვებდა, ზარალით მუშაობდა.

მაღაროელმა კომუნისტებმა გადაწყვიტეს საკავშირო მაღალხარისხოვანი მარგანეცისათვის ბრძოლას. პარტიულმა ორგანიზაციამ საფუძვლიანად შეისწავლა და კრებაზე განიხილა მადნის დანაკარგებთან ბრძოლისა და მარგანეცის პირველადი გამდიდრების საკითხი. საკითხის მომზადებაში ოთხმა კომუნისტმა მიიღო მონაწილეობა. მოხსენება მაღაროს მთავარმა გეოლოგმა ა. მაჭავარიანმა გააკეთა. კამათი საქმიანი და კრიტიკული იყო. ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსმა დ. მაღრაძემ, „თბილის წყლის“ მაღაროს გამგემ პ. ლომიძემ, გამამდიდრებელი ფაბრიკის გამგემ გ. გაფრინდაშვილმა, პარტბიუროს მდივანმა ბ. ცუნდაშვილმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ მადნის არასწორი აფეთქებით ფუჭი ქანი მარგანეცში ერევა, ამწმენდები ყურადღებას არ აქცევენ მადნის პირველად გამდიდრებას. პირველი უბნის № 41 სპირალსაგებ გვერდში, № 13 და 42 ლავში, მეორე უბნის № 23 ლავში მადანი რჩება. წუნდებულ პროდუქციას უშვებენ გ. შეყოლაძე, ა. პაპაძე, პ. ქემერტელიძე, პ. კაპანაძე, მ. ფხალაძე და სხვები. ამიტომ მოხდა, რომ მარტო ერთ თვეში მაღაროდან 480 ვაგონი წუნდებული მარგანეცი გამოვიდა.

აზრთა ცხარე გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ საქმიანი დადგენილება მიიღო.

ჯერ კიდევ 28 მარტს ღია პარტიულმა კრებამ იმსჯელა მარგანეცის თვითღირებულების შემცირების გზებზე. მოხსენება მაღაროს დირექტორმა ხ. პეტრიაშვილმა გააკეთა. კამათში მონაწილეობა მიიღეს უბნების გამგეებმა ვ. ფანჩულიძემ, ბ. სამხარაძემ, რ. ბარშილაძემ, უფროსმა ეკონომისტმა ლ. ოქრომჭედლიძემ, მაღაროელებმა ვ. გველესიანმა, ლ. ბარბაქაძემ და სხვებმა.

აქ საბოლოოდ დადგინდა, რომ მაღაროს არარენტაბელური მუშაობის ძირითადი მიზეზია პირველხარისხოვანი მარგანეცის ამოღების გეგმის შეუსრულებლობა. ამიტომ ეს საკითხი მიიჩნიეს ძირითად რგოლად და მთელი ძალები მის გამოსასწორებლად მიმართეს. მაღაროელმა კომუნისტებმა შემდეგშიც იმსჯელეს ფაბრიკების მუშაობის და წარმოების კულტურის გაუმჯობესების საკითხზე და მაღაროს მთელ კოლექტივთან ერთად გააჩაღეს მუშაობა წარმატებათა მოპოვებისათვის.

პირველ უბანში მომზადდა და ერთდროულად მუშაობს ორი ლავი, აქ ბრემსბერგის ნაცვლად მოეწყო საჰაერო სამგზავრო-საბაგირო გზა, რამაც გაზარდა უბნის გამტარუნარიანობა, სანგრევებში მოეწყო ასაქცევები, ლავები მომზადდა აგრეთვე მეორე უბანში. მეშვიდე უბანში მომზადდა ახალი ველი. მეტი ყურადღება მიექცა პირველადს გამდიდრებას.

მუშაობას ამაოდ არ ჩაუვლია. პირველხარისხოვანი მარგანეცისათვის ბრძოლას ავანგარდში არიან სოციალისტური შრომის გმირი ტ. ფოფხაძე, მისი ძმა ვლადიმერი, ა. კიპაროიძე, დ. მაჭავარიანი, ი. კომლაძე, მ. აბრამიშვილი, ი. სადღობელაშვილი, გ. მაჭავარიანი, ფაბრიკის მუშები — კომუნისტები ი. კურტანიძე, მ. შეყოლაძე, პ. გაფრინდაშვილი, დ. მჭედლიძე, მ. პაპაძე და სხვები.

მაღაროელი კომუნისტებისა და მთელი კოლექტივის თავდადებული შემოქმედებითი შრომით წარმატებით სრულდება დავალებები, ი. ბ. სტალინის სახელობის მაღაროს ყველაზე მოწინავეა ჭიათურაში. აქ 105 პროცენტით შეასრულეს ხსენებული მადნისა და პირველი ხარისხის მარგანეცის დამზადების შვიდი თვის დავალებები. მარტო პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 20.000 ტონით გაადიდეს. მაღაროს კოლექტივის წარმატებაში გარკვეული წვლილი შეაქვთ იმ უბნებს, რომლებსაც ბ. სამხარაძე, ი. წერეთელი, გ. გვალია, ი. ჩაჩანიძე ხელმძღვანელობენ, აგრეთვე მარგანეცის გამამდიდრებელი ფაბრიკების კოლექტივებს, რომლებსაც ინყინრები ი. თადუმაძე და გ. გაფრინდაშვილი გაგებენ.

პ. ჟიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ჭილდო გამოფენის მონაწილე კოლმეურნეობას

მცხეთა. (საკ. კორ.) სოფელ წილკნის კოლმეურნეობაში სასიხარულო ცნობა მიიღეს. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარმა კომიტეტმა წილკნის კოლმეურნეობა, რომელიც სამინდის მაღალი მოსავლისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის გასული წლის შედეგების მიხედვით გამოფენის მონაწილეა ფართო ჩვენებით, დააჯილდოვა პირველი ხარისხის დიპლომით, მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანებით. ოქროს პატარა მედლით დაჯილდოებულია კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. პაპავაძე, გერცხლის პატარა მედლით — კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე და პარტბიუროს მდივანი გ. გაბინაშვილი, ოქროს დიდი მედლითა და საკერავი მანქანით — მწველავი გ. გასანოვა, ოქროს პატარა მედლითა და მოტოციკლით — მეძროხეობის ფერმის გამგე ა. ლაშაური.

ჯილდოს პასუხად წილკნელმა კოლმეურნეებმა ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

პირობა გაანაღდეს

ფალენჯიხა. (საკ. კორ.). რაიონის მეჩაიეები თავდადებულად მუშაობენ, რათა სასახელოდ გაანაღდონ ნაკისრი ვალდებულება — წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 660 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ჩაის ფოთლის კრეფაში განსაკუთრებით დაწინაურდა სოფელ ობუჯის ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც წალენჯიხის რაიონის კოლმეურნეობებს შორის პირველმა შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. კოლმეურნეობას 15 აგვისტოსათვის გეგმის გადამეტებით მოკრეფილი ჰქონდა 3.200 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი.

ბრიგადებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ პირველი და მეოთხე საწარმოო ბრიგადები, რომლებსაც გ. სონგულია და ლ. კაკაჩია ხელმძღვანელობენ.

კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა სეზონის დამთავრებამდე მოკრიფოს და სახელმწიფოს წლიური გეგმის გადამეტებით ჩააბაროს 50 ათასი კილოგრამი ჩაის ნედლეული.

ავანსი შრომადღეებზე

ჭარელი. (საკ. კორ.) სოფელ მოხისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში წელს ხორბლის უხვი მოსავალი მიიღეს. მთელი ნათესის — 860 ჰექტარის თვითეული ჰექტარზე მიღებულია 13,22 ცენტნერი მოსავალი.

სათესლე და სხვა ფონდების გადადების შემდეგ კოლმეურნეობამ დღემდე შრომადღეზე ავანსად გასცა 2 კილოგრამი და 300 გრამი ხორბალი.

კოლმეურნე ვ. სოიტაშვილს შრომადღეებზე ავანსი ერგო 1.573 კილოგრამი, გრიგოლ ნაკაშიძეს — 1.116, სიმონ ყაულაშვილს — 2.522 კილოგრამი და ა. შ.



განუწყვეტლივ იზრდება და კეთილმოწყობილი ხდება მეშახტეთა ქალაქი ტყვარჩელი. უკანასკნელი წლების განმავლობაში იგი დამშვენდა ახალი სახლებით, კულტურულ-საგანმანათლებლო შენობებით და საყოფაცხოვრებო დაწესებულებებით. **სურათზე:** ტყვარჩელის მეშახტეთა დიდის კვეზანის საერთო ხედი.

ფოტო ნ. ჯომიდავასი (საქდესის ფოტოქრონიკა).

გორის რაიონში

ახალი სკოლა

ნიქოზის კოლმეურნეობამ სოფლის სკოლისათვის აგო ახალი შენობა. ახალი სასწავლო წლიდან აქ მუშაობას დაიწყებს შვიდწლიანი სკოლა, რომელიც გაიხსნა დაწყებითი სკოლის ბაზაზე.

ბიბლიოთეკები მთის სოფლებში

დიდი ხანი არ არის, რაც მთის სოფლებში — ღვარებსა და ბობნევში გაიხსნა სასოფლო ბიბლიოთეკები, რომლებიც უზრუნველყოფილია მხატვრული, პოლიტიკური და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურით, ჟურნალ-გაზეთებით. სულ რაიონში ახლა 68 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა. წელს სასოფლო ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების წიგნის ფონდი 60 ათასი მანეთის ლიტერატურით შეივსო.

ტელევიზორები, რადიომიმღებები, პიანინოები მოსახლეობას

წელმაგრად, კულტურულად ცხოვრობენ გორელი კოლმეურნეები. ყოველწლიურად იზრდება კოლმეურნეთა მყიდველობითი უნარი. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა ძვირფას ავეჯსა და საოჯახო ნივთებზე. რაიკოოპკავშირმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით მოსახლეობას 6.149.000 მანეთით მეტი ღირებულების საქონელი მიჰყიდა. გაყიდულია 125 ტელევიზორი, 450 რადიომიმღები, 15 პიანინო და სხვ.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს

★ ★ ★

აჭარის სკოლებში

კიდევ რამდენიმე დღე და ჩვენი ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დაიწყება ახალი სასწავლო წელი. ამ დიდი პასუხსაგები პერიოდის ყოველმხრივ მომზადებულად შეხვედრისათვის ბევრი რამ გაკეთდა აჭარის სკოლებში. უკვე დამთავრებულია სასკოლო შენობებისა და ინვენტარის რემონტი, აღრიცხულია პირველ კლასებში მისაღებ ბავშვთა კონტინგენტი, დაკომპლექტებულია სკოლები და კლასები.

როგორც ცნობილია, ქობულეთის რაიონის მშრომელები და გათლების მუშაკები რესპუბლიკაში დიდმნიშვნელოვანი თაოსნობის — სკოლების ერთ ცვლად მეცადინეობაზე გადაყვანის ინიციატორებად გამოვიდნენ და სასახელოდ ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

სკოლებს დიდი დახმარება გაუწიეს საშეფო ორგანიზაციებმა — სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. აჭარის მშრომელთა უშუალო შრომითი მონაწილეობით შენდება 28 ახალი სკოლა. 49 სასკოლო შენობა ფართოვდება.

პირველი სექტემბრისათვის საექსპლოატაციოდ გადაეცემა ქობულეთის საშუალო, ჩაისუბნის შვიდწლიანი, ხუცუბნის, ჩაქვისთავის, ზერაბოსელის დაწყებითი სკოლების ახალი შენობები. დასასრულს უახლოვდება ბათუმის რაიონის მახოს შვიდწლიანი, ქვედა მახოს, სკურდიდის დაწყებითი სკოლების მშენებლობა.

ასევე ფართოდ გაიშალა სასკოლო მშენებლობა ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონებში.

ქედის რაიონში, მაგალითად, გეგმით გათვალისწინებული 9 სასკოლო შენობის ნაცვლად ამჟამად მიმდინარეობს 12 სკოლის მშენებლობა. სასწავლო წლის დასაწყისისათვის მზად იქნება ხარაულას საშუალო, ცხ.-მორისის და დანდალოს შვიდწლიანი, აბუქეთისა და ქვედა აგარის დაწყებითი სკოლების ახალი შენობები. შუახევის რაიონში შენდება დღვანის საშუალო, ახალდაბის და გოგაძეების შვიდწლიანი სკოლების ახალი შენობები. ხულოს რაიონში მიმდინარეობს ხუთი ახალი სკოლის მშენებლობა.

ბათუმში ბევრია ყოველმხრივ კეთილმოწყობილი სასკოლო შენობა, მაგრამ ქალაქის მშრომელები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები კვლავ შეუუნელებელი ენერგიით იბრძვიან ახალი, თანამედროვე, ტიპური სასკოლო შენობების ასაგებად და არსებული სკოლების გასაფართოებლად. ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ქალაქის მე-3 საშუალო სკოლის შენობის რეკონსტრუქცია, რაზეც 300 ათასი მანეთი დაიხარჯება. ამ დღეებში დამთავრდება მე-11 საშუალო სკოლის შენობაზე მეორე სართულის დაშენების სამუშაოები.

გარდა ამისა, წელს სკოლების მიმდინარე და კაპიტალურ რემონტზე დახარჯულია 2.200.000 მანეთი. დამზადებულია და სკოლებს გაეგზავნა 800-ზე მეტი მერხი, 255 დაფა, 122 მაგიდა, 469 სკამი, 128 კარადა და სხვ.

სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიები შეივსო 600 ათასი მანეთის ახალი მოწყობილობითა და ხელსაწყო-იარაღებით. აჭარის 35 საშუალო და შვიდწლიან სკოლაში წელს სასწავლო სახელოსნოები მოეწყობა.

სავაჭრო ქსელში შეტანილია დიდძალი სახელმძღვანელოები, რვეულები და სხვა სასწავლო ნივთები.

წელს აჭარის სკოლები მნიშვნელოვნად განმტკიცდა მასწავლებელთა მაღალკვალიფიციური კადრებით. სულ აჭარის სკოლებში იმუშავებს 3.500-მდე მასწავლებელი. 400 მასწავლებელმა გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.

სერიოზული ღონისძიებები ხორციელდება საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის გარეშეხრილად გატარებისათვის. მარტო პირველ კლასებში ჩაირიცხება 6.500-მდე ბავშვი.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ფართო გზა რაციონალიზაციორებსა და გამომგონებლებს

ჩვენს რესპუბლიკაში რაციონალიზატორთა და ნოვატორთა მოძრაობა წლითიწლობით ფართოვდება. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა რიცხვი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ერთნახევარჯერ გაიზარდა. 6 თვეში დანერგილ წინადადებათა შედეგად მიღებულია 28 მილიონ მანეთზე მეტი ეკონომია.

რაციონალიზატორებთან და გამომგონებლებთან მუშაობა მაღალ დონეზეა დაყენებული ისეთ დიდ საწარმოებში, როგორიც არის ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი, კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელი ქარხნები, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო და მანქანათსამშენებელო ქარხნები, ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნები. აღნიშნულ საწარმოთა კოლექტივებმა პროფკავშირული ორგანიზაციების დახმარებით მიიღწიეს რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა რიგების მნიშვნელოვან ზრდას, მათი შემოქმედებითი მუშაობის განვითარებას და შემდგომ გაფართოებას.

ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ არიან ცნობილი მოწინავე რაციონალიზატორები და ნოვატორები ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ხაბრძმედე საამქროს ოსტატი პ. მაჭარაშვილი, თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის მექვაბე ი. ხორბალაძე და ელექტრომექანიკოსი ი. ოთხებაშვილი, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ხიჩქარის კოლოფის ამწყობი ი. ბაზარაძე, თბილისის ჩარხსამშენებელო ქარხნის მბეჭედელი შ. მანველიძე, ამავე ქარხნის ამწყობი ხანამქროს ოსტატი ზ. ჯიოევი, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ოპერატორი ვ. თეზაძე და სხვები, რომელთა ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის შედეგად მიღწეულია შრომატევადი ხამუშაოების მექანიზაცია და შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდა საწარმოთა ცალკეულ უბნებზე.

რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მუშაობის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე დაყენებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროფკავშირული ორგანიზაციების მეტაჯლურგიული ქარხნის ხაბრძმედე საამქროს ოსტატი პ. მაჭარაშვილი, თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის მექვაბე ი. ხორბალაძე და ელექტრომექანიკოსი ი. ოთხებაშვილი, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ხიჩქარის კოლოფის ამწყობი ი. ბაზარაძე, თბილისის ჩარხსამშენებელო ქარხნის მბეჭედელი შ. მანველიძე, ამავე ქარხნის ამწყობი ხანამქროს ოსტატი ზ. ჯიოევი, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ოპერატორი ვ. თეზაძე და სხვები, რომელთა ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის შედეგად მიღწეულია შრომატევადი ხამუშაოების მექანიზაცია და შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდა საწარმოთა ცალკეულ უბნებზე.

რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მუშაობის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე დაყენებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროფკავშირული ორგანიზაციების მეტალურგიული ქარხნის ხაბრძმედე საამქროს ოსტატი პ. მაჭარაშვილი, თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის მექვაბე ი. ხორბალაძე, ელექტრომექანიკოსი ი. ოთხებაშვილი, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ხიჩქარის კოლოფის ამწყობი ი. ბაზარაძე, თბილისის ჩარხსამშენებელო ქარხნის მბეჭედელი შ. მანველიძე, ამავე ქარხნის ამწყობი ხანამქროს ოსტატი ზ. ჯიოევი, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ოპერატორი ვ. თეზაძე და სხვები, რომელთა ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის შედეგად მიღწეულია შრომატევადი ხამუშაოების მექანიზაცია და შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდა საწარმოთა ცალკეულ უბნებზე.

რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მუშაობის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე დაყენებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროფკავშირული ორგანიზაციების მეტალურგიული ქარხნის ხაბრძმედე საამქროს ოსტატი პ. მაჭარაშვილი, თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის მექვაბე ი. ხორბალაძე, ელექტრომექანიკოსი ი. ოთხებაშვილი, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ხიჩქარის კოლოფის ამწყობი ი. ბაზარაძე, თბილისის ჩარხსამშენებელო ქარხნის მბეჭედელი შ. მანველიძე, ამავე ქარხნის ამწყობი ხანამქროს ოსტატი ზ. ჯიოევი, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ოპერატორი ვ. თეზაძე და სხვები, რომელთა ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის შედეგად მიღწეულია შრომატევადი ხამუშაოების მექანიზაცია და შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდა საწარმოთა ცალკეულ უბნებზე.

რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მუშაობის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე დაყენებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროფკავშირული ორგანიზაციების მეტალურგიული ქარხნის ხაბრძმედე საამქროს ოსტატი პ. მაჭარაშვილი, თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის მექვაბე ი. ხორბალაძე, ელექტრომექანიკოსი ი. ოთხებაშვილი, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ხიჩქარის კოლოფის ამწყობი ი. ბაზარაძე, თბილისის ჩარხსამშენებელო ქარხნის მბეჭედელი შ. მანველიძე, ამავე ქარხნის ამწყობი ხანამქროს ოსტატი ზ. ჯიოევი, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ოპერატორი ვ. თეზაძე და სხვები, რომელთა ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის შედეგად მიღწეულია შრომატევადი ხამუშაოების მექანიზაცია და შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდა საწარმოთა ცალკეულ უბნებზე.

პარტიული ცხოვრება

პარტიული ორგანიზაცია ღრმად სწვდება წარმოების ეკონომიკას

ზუგდიდის დასავლეთით, მდინარე ენგურის პირას, დიდი საწარმოო კორპუსები მოჩანს. აქ არის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატი — ჩვენს რესპუბლიკაში ამ ტიპის ერთადერთი საწარმო, სადაც რამდენიმე ათასი კაცი მუშაობს. კომბინატის კოლექტივი დიდი გადაჭარბებით ანაღდებს საწარმოო დავალებებს. ამ წარმატებებში დიდ როლს ასრულებს პარტიული კომიტეტი, რომელიც 12 პირველადს პარტიულ ორგანიზაციას აერთიანებს. საწარმოში სულ 311 კომუნისტია. კომუნისტთა დიდი ნაწილი საამქროებსა და ბრიგადებში მუშაობს. ისინი თავდადებით შრომობენ დაზგებსა და რთულ მანქანა-დანადგარებზე.

საწარმოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წყლის რეგულაციის სწორ რეჟიმს. საქვაბე საამქროს ბრიგადირმა, კომუნისტმა ლ. გუგუშვილმა პარტიულ კომიტეტს სიგნალი მისცა იმის შესახებ, რომ წყლის მიწოდება ფერხდება, რაც იწვევს სახარშავ საამქროში ორთქლის მიწოდების წყვეტილობას. გამოიყო კომისია, რომელშიც შეიდნენ მთავარი კონსტრუქტორი ს. ვიკუა, უსაშიშრობის ტექნიკის ინჟინერი ლ. მერნიკი, წყლის გაყოფილების ოსტატი კ. თოლორდავა და სხვები. დაწვრილებით შემოწმდა შეფერხებათა გამომწვევი მიზეზები. გამოირკვა, რომ ქაღალდის ფაბრიკის გამსუფთავებელ განყოფილებაში ყურადღება არ ექცეოდა წყლის რეგულირებას, რამაც დაიზიანა წყალსაქაჩი. საკითხის განხილვის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ სწრაფად დაიდგა ახალი წყალსაქაჩი. საამქროთა პარტორგანიზაციებს დაევალათ სისტემატურად ადევნონ თვალყური პარტიული კომიტეტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობას. არ დაუშვან წყალსაქაჩის შეფერხებები და მოცდენები.

პარტიული კომიტეტი ეხმარება კომუნისტებს საწარმოო რეზერვების გამონახვაში, სიახლეთა დანერგვაში. თუ კომუნისტი მუშაობაში ჩამორჩა, ეს საამქროს პარტორგანიზაციის მსჯელობის საგანი ხდება. კარგი შედეგი გამოიღო რამდენიმე განყოფილების გაერთიანებამ, რაც კომუნისტების წინადადებით განხორციელდა. ამან კომბინატს წელიწადში 210 ათასი მანეთი ეკონომია მისცა.

კომბინატი ძირითადად მექანიზებულია. უკანასკნელ წლებში საამქროები ახალი მანქანებით აღიჭურვა. დაიდგა მანქანა „პაუერ-კლინერი“, რომელიც ცელულოზის თხევად მასას აცლის წიალას და ჰუჰყისაგან გასუფთავებულს აუზში გზავნის. ორთქლის ქვაბები წინათ მუშაობდნენ ქვანახშირზე, ზეინკალი ა. სიდერჩუკი, ერთ-ერთი განყოფილების ოსტატი გ. ჯვებენავა. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ კომიტეტის სხდომებისათვის საკითხების მომზადებაში. პარტიული კომიტეტის სამუშაო გეგმაში შეტანილია მთელი რიგი საინტერესო საკითხები. ზოგჯერ საწარმოს ცხოვრება თვითონ უკარნახებს პარტიულ ორგანიზაციას ოპერატიულად გადასაწყვეტ საკითხებს. მაგალითად, ასეთ საკითხებს ეკუთვნის: სამეურნეო ანგარიშის დაფერგვა ენგურკომბინატში, პირველადი პარტორგანიზაციების და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით და სხვ.

ამას წინათ შედგა კომბინატის კომუნისტთა კრება, სადაც პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დადგენილებაზე ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების შესახებ მოხსენებით გამოვიდა პარტიის ზოგადიდის რაიკომის პირველი მდივანი ა. ქვარცხავა. აღინიშნა, რომ კომბინატს მიღწევებთან ერთად აქვს ნაკლიც: არ შესრულებულა ცელულოზის, ფერადი ქაღალდის, სათუთუნე ქაღალდის გამოშვების დავალებანი, არის ქლოროვანი კირის გადახარჯვის შემთხვევები, არ შესრულებულა თვითღირებულების შემცირების გეგმა.

კრებამ კომბინატის დირექტორს ბ. ჯანაშიას და პარტკომის მდივანს ა. მეუნარგიას დაავალა დაუყოვნებლივ მიიღონ ყველა ზომა ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს ტექნოლოგიურ პროცესებს, კერძოდ, ფოთლოვანი მცენარეების ნედლეულის უკეთ გამოყენებას, სახარში სიმჟავის წებოგნების ზრდას. კონკრეტული ღონისძიებანი ითვალისწინებენ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

პარტიულმა ორგანიზაციამ გააჩაღა ფართო ორგანიზატორული მუშაობა კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, იმის შედეგად, რომ პარტიული ორგანიზაცია ღრმად სწვდება წარმოების ეკონომიკას, საწარმო წარმატებით ასრულებს ყოველთვიურ დავალებებს. პროდუქციის გამომშვების ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 103,8 პროცენტით, ქაღალდისა — 103,4 პროცენტით. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კომბინატმა გაუმჯობესა მუშაობა, ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. ყველაფერი რიგზე არ არის საბინაო მშენებლობაში. სათანადო ყურადღება არ ექცევა კულტურულ-მასობრივ ღონისძიებებს. ნელი ტემპით მიმდინარეობს კომბინატის ტერიტორიის კეთილმოწყობა და სხვ.

კომუნისტთა ავანგარდული როლის კიდევ უფრო ამაღლება, მასების დარაზმვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად პარტიული კომიტეტის ყოველდღიური საზრუნავი უნდა იყოს.

ბ. მილიუტინი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

პატარა მთიელებისათვის



ეს ლამაზი ორსართულიანი შენობა აგებულია მაღალმთიანი სოფლის სონდისველას კოლმეურნეობის მიერ ადგილობრივი შვიდწლიანი სკოლისათვის.

კოლმეურნეებს დიდი გეგმოვნებით შეურჩევიათ სკოლის ადგილი, ათასნაირი ყვავილებით აჭრელებულ ფერდობს ერთი მხრივ ქოჩორა ტყე აკრავს, ხოლო მეორე მხრივ — მდინარე ხორხულა. სკოლის წინ კარგა მოზრდილი ეკეცა, სადაც მოეწყო საცდელი ნაკვეთი, სასპორტო მოედანი.

კარგად მოემზადნენ დუშეთის რაიონის სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის. ქობულეთელთა მოწოდების პასუხად ბევრი კოლმეურნეობა აქტიურად დაეხმარა სკოლებს მიმდინარე და კაპიტალური რემონტის ჩატარებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ბაზალეთის, დუშეთის, მაღაროსკარის და სხვა კოლმეურნეობები.

ნაკლური ვალდებულების საფუძველზე სოფელ მაქართის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ქავთარაძე) დაწყებითი სკოლისათვის საკუთარი სახსრებით აიგო ახალი შენობა.

...მთელ ხევსურეთს არ მოეპოვება არც ერთი განათლებული კაცი, ინტელიგენტი, მთელ ხევსურეთში არ არის არსად სკოლა, — გულისტკივილით წერდა ვეჟა-ფშაველა.

ახლა ხევსურეთში ოშვეთითი სოფელ სკოლის ზარი რომ არ წკრიალებდეს.

ბარისახოს საშუალო სკოლასთან შირშან გაიხსნა ინტერნატი 150 ბავშვისათვის, ხევსურეთისა და ფშავის შორეული სოფლებიდან მოსული ყმაწვილები და გოგონები უზრუნველყოფილი არიან უფასო ტანსაცმლით, კვებით, ბინით, სახელმძღვანელოებით.

ამჟამად ბარისახოში შენდება ინტერნატის კაპიტალური შენობა 300 ბავშვისათვის, იგი მზად იქნება მომავალ წელს.

არის ნაკლიც. ზოგიერთ სკოლაში რემონტი გაჭიანურდა. ჩარგლისა და ანდაგვისპირის სკოლებში ჯერ კიდევ არ მოუწყიათ სასპორტო მოედნები, სკოლების უმრავლესობას დღემდე არა აქვს ზამთრისათვის საჭირო სათბობი და სხვ.

ეს ნაკლოვანებები სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

ბ. თოდუაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: სოფელ ხონდისველას შვიდწლიანი სკოლის ახალი შენობა.

მისაბაძი მაგალითი

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება ქალაქ რუსთავის სკოლებმა ჯერ კიდევ გასული სასწავლო წლის დამთავრებისთანავე დაიწყეს. სამ საშუალო სკოლის შენობას გაუკეთდა კაპიტალური რემონტი, ხოლო რვა სკოლის შენობას — მიმდინარე რემონტი.

ხაუკეთესო ინიციატივა გამოიჩინა ცემენტის ქარხნის ადმინისტრაციამ, რომელმაც თავისი თანხებითა და ძალებით მიმდინარე რემონტი გაუკეთა ქალაქის № 4 საშუალო სკოლის შენობას. ასევე მოიქცა მეტალურგმშენის სამმართველო, რომელმაც შეაკეთა ქალაქის მე-8 საშუალო სკოლის შენობა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სკოლების პოლიტექნიზაციის მიზნით. მე-2 საშუალო სკოლას მიუშენეს სადურგლო და ხეზეინკლო სახელოსნო. მე-11 და მე-6 სკოლებისათვის ჩამოიტანეს სადურგლო დაზგები და სხვა მოწყობილობა. კაბინეტ - ლაბორატორიებისათვის შეძენილ იქნა 70.000 მანეთის ინვენტარი. შუფა — მეტალურგიულმა ქარხანამ მე-2 საშუალო სკოლას აუშენა სათბური. ტექნიკური ლიტერატურით შეივსო სკოლების ბიბლიოთეკების წიგნის ფონდი.

აღრიცხულია სასკოლო ასაკის ბავშვები. წელს პირველად მიიჯნდება სკოლის მერხებს 1.500-ზე მეტი ბავშვი. უდედმამო ბავშვებისათვის გათვალისწინებულია შეიქმნას მატერიალური ფონდი 15.000 მანეთის ოდენობით.

ძირითადად დამთავრებულია სკოლების კადრებით დაკომპლექტება. მიღებული და განაწილებულია სახელმძღვანელოები. ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტმა ქალაქის ორი საშუალო სკოლისათვის გამოიყო კაპიტალური შენობები.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს ქალაქის მთელმა რიგმა საწარმოებმა. მშენებლების მაგალითისამებრ აზოტოვანი სასუქების ქარხნისა და ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ადმინისტრაციებმა იკისრეს ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების განკარგულებაში გადასცენ თითო-თითო შენობა.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მართალი ხართ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო

საუბარი თელაველ ახალგაზრდებთან

ეს იყო გამოველ თელავის სახტუმროდან, — ერთხელ კიდევ შევავლე თვალი ჩემს მარჯვნივ მდებარე ერეკლესეულ კრემლს... და ერთხელ კიდევ გავიფიქრე... „მაი დედასა! ამას რომ მოვლა არ აკლდეს“...

შემოვუხვიე მარცხნივ, თვალი მოვკარი თეატრის წინ ატუზულ ახალგაზრდებს, შემამჩნიეს და ყველა ზრდილობიანად მომესალმა. სეტყვასავით დაყრილმა მათმა კითხვებმა მიმახვედრა, რომ თეატრზე საუბრობდნენ.

— მარჯანიშვილის თეატრი ჩვენსკენ გამოსეირნებას ხომ არ აპირებს? რუსთაველი ხაით მიეშგზავრება! ფილარმონიას თუ აქვს დაგეგმილი საუკეთესო მხატვრული ბრიგადები ჩვენი რაიონის მშრომელთა მომსახურებისათვის?

— რა ვიცი, რა? — მორცხვად, მაგრამ გულისტკივილით ჩაერია მეორე, — ვინც ჩამოსული, გულნაკლული არავინ წასულა და.. ზოშკაკალას რომ გვაყრიდეს თელავის ცა, ჩემმა მზემ, თეატრი მაინც გაეფდილია. მ-ი უფეტეს თუ წარმოდგენა ან კონცერტი გულს დაიპყრობს და თვალს წყალს დაალევინებს.

— ამოდენა რაიონს, — ჩაერია მეხუთე — ეს საცოდავი თელავის თეატრი უძღვება და ნუთუ ღირსი არ არის ერთი კარგი შენობა ჰქონდეს? ძალიან ჩამოვრჩით, ძალიან... ახლა ხილნაღი ვიკითხოთ. ერთი ხეირიანი კულტსახლი ვერ ააშენეს, ეს არის საქმე?...

ჩვენც ხომ გვინდა ვნახოთ დიდი, ჭეშმარიტი ხელოვნება, დავტკბეთ ჩვენი სახელოვანი ოსტატების თამაშით, და, ბოლოს, ჩვენ გვინდა, რომ თელავის თეატრი, მისი კოლექტივი ბზარში ამოუდგეს საქართველოს საუკეთესო თეატრალურ კოლექტივებს. ამ კეთილშობილურ სურვილებს კი ხელს უშლის... აი ეს შენობა — ალამამდახანობიდან რომ წამოტუზული, რომელსაც პაპაჩემის ჯღანვივით ყოველ წელიწადს არემონტებენ და არემონტებენ. ათჯერ შეღებავენ, ოცჯერ გალესავენ, ერთს სკამს მეორე ადგილს მიუჩენენ, ერთ კარს ამოლესავენ, მეორეს გახსნიან, და ეს არის და ეს. რაც ამაზე ფული დახარჯულა, ვინ მოთვლის.

— მთელ კახეთში ერთადერთი თეატრალური კოლექტივია, ჭეშმარიტად რომ გმირულ საქმეებს სჩადის, — ჩაება საუბარში მეოთხე.

— კაცო, — შემოგვიტია ერთმა გახელებით, — ჩვენი ადგილობრივი ხელმძღვანელობა რატომ მორცხვობს? ამდენი დეპუტატი რომ გვყავს — როგორც ადგილობრივ, ისე უმაღლეს სიბჭოში — რა ღმერთი უწყრებათ? რატომ ერთხელ მაინც არ წამოსცდებათ ტკბილი სიტყვა ამ დიდი საქმისათვის?

ხალხი გაიზარდა, გამომზეურდა, თვალი გაახილა. თელავს შესანიშნავი ინტელიგენცია ჰყავს, მოწინავე ახალგაზრდობა, ინსტიტუტებს და უნივერსიტეტს რომ ამთავრებენ.

— რა ვიცი, ე ჩვენი თეატრის მოყვარული საზოგადოებაც რომ გატრუნულა. სად არიან ჩვენი პედაგოგები, ჩვენი ექიმები, ინჟინრები, დაწესებულება-ორგანიზაციის ხელმძღვანელები და, ბოლოს, ხად არიან ქებული კოლმეურნეობების თავმჯდომარეები — ხად?

— გეგმებს ვახრულებთო. ჰიგო და, მახარაძის რაიონის მშრომელები გეგმებს არ ახრულებენ?! ხამტრედიაში მალე ახალი კულტურის სახლი იქნება, ზესტაფონშიც და ვინ მოთვლის, როგორ დებენ თავს მამულიშვილები თავიანთი რაიონების კეთილმოწყობისათვის. გეგმებს ვერ ახრულებენ?

— ხამგორი ავაშენეთ, რამდენი გავაკეთეთ, რამდენი კეთდება ჩვენი ხაამაყო ცხოვრებისათვის და რა გახდა თელავის ეს ერთი შენობა. კისისხევიდან რომ თითო კაცმა თითო ქვა ამოიტანოს, ერთს კი არა, ათ თეატრს ავაშენებთ.

ხე-ტყე გვაკლია თუ რა? მონდომება არა გვაქვს, ძმაო, თოსნობა.

მერე ადგილები არ გვივარგა თუ? აი თუნდა ეს ძველი თეატრის შენობა დავუთმოთ კულტურის სახლს — ჰაი, ჰაი, როგორ გაიხარებენ. ამ საცოდავებს რა დღე ადგათ? სახლი ჰქვია, თორემ — თაგვი კუდს ვერ მოიქნევს.

ნადიკვარი? დაიკვეთონ ამეხთანა ადგილმდებარეობა, პაპანაქება სიცხეში რომ გიგოს მთიდან ყოველ წუთს ნ-ავი ჰქრის, გადაბყურებ ამაყად ალაზნის ველს და გაგიტაცებენ მოგონებები... აგერ ალაზანთან ჩახული დიდი ილია, ჭვეყნის ბედზე დაფიქრებული. ერეკლესეული ცაცხვის ქვეშ ხაჭართველოს ადეგრძელებს ჭაღარა აკაკი. აქ უყვარდა ამოსვლა მგზნებარე კოტე მარჯანიშვილს, რომელმაც თელავის თეატრში აიდგა ფეხი... თელაველებს დღესაც ახსოვთ ვ. აბაშიძე, ლ. მესხიშვილი, ალ. ომიდაშვილი, ვ. გამყრელიძე, მ. ხაფაროვა-აბაშიძისა, მათი სცენაზე მადლიანი თამაში.

— მაშ ეს საქმეა! — ცხარობენ ახალგაზრდები — რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრები სხვაგან კი დადიან ხაგასტროლოდ, ჩვენთან კი არასოდეს არ ჩამოსულან. ახლა სხვა თეატრები? საცეკვაო და მუსიკალური ანსამბლები, ჩვენი სახელმოხვეჭილი მომღერალთა გუნდები, — არავინ არ აპირებს ჩვენთან ჩამოსვლას.

— ბიუჯეტი ვერ აიტანხო, თეატრი პატარაააო, ხარჯთაღრიცხვას ვერ გაუძლებსო, ვერც დეკორაციებს დატევენო, ვერც ორკესტრი ჩაეტევა იმ ორმოშიო, გახსოვთ, ერთხელ სცენაზე კინალამ ხორავა რომ გაგვეჩხირა?..

რა მეპასუხნა... ჩემს გულიხნადებს ისინი ამბობდნენ. მართალი ხართ, ჩემო ძვირფასო ახალგაზრდებო, მართალი. მესმის თქვენი... მით უმეტეს, რომ მოწმე ვარ ჩვენი ლამაზი სამშობლოს აღმშენებლობისა, ასე თავდადებით რომ ახორციელებს ჩვენი კომუნისტური პარტია, საქართველოს მთავრობა. მართალი ხართ და ჩემს გულსაც გიზიარებთ, მართლა და დროა. რომ ამ საქმეს შემოვევლოთ და თელავის მშრომელებს ახალი თეატრის შენობა ავუგოთ!

ვასო გოძიაშვილი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

2.000.000 ფონა სილოსისათვის

★ ★

ხმაური დიდი, შედეგი მცირე

ხაშურის რაიონში გამართულ თათბირზე ბევრი ილაპარაკეს სილოსის დიდ სარგებლობაზე, დასილოსების გეგმებსა და ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებაზე. ცალკეულ კოლმეურნეობებს პასუხისმგებელი მუშაკებიც კი მიამაგრეს, მაგრამ ამ დიდ ხმაურს ჯერჯერობით შედეგი მცირე მოჰყვა.

რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წელს დასილოსონ 15.000 ტონა მწვანე მასა. ამ ამოცანას ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე კოლმეურნეობა ასრულებს. აგარების კოლმეურნეობას ჩადებული აქვს 150 ტონა სილოსი, სატივის კოლმეურნეობას — 350 ტონა, ნაბახტევისას — 120 ტონა, კოდისწყაროსას — 50 ტონა. სულ რაიონში დამზადებულია მხოლოდ 1.295 ტონა სილოსი. უმრავლეს კოლმეურნეობებში სილოსის ჩადებას არ შესდგომიან, თუმცა საამისოდ ყველა პირობა არსებობს. რაიონის კოლმეურნეობებს 1.036 ჰექტარი სასილოსე სიმინდი უთესიათ, ბევრგან მასა კიდეც შესულია რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში და მისი დასილოსების დროა, მაგრამ ამ საქმეს მთელი სერიოზულობით არ ეკიდებიან.

სოფელ ტეზრის კოლმეურნეობამ 1.200 ტონა სილოსი უნდა დაამზადოს. ამ მიზნით კოლმეურნეობას 30 ჰექტარი სიმინდი, აგრეთვე მზესუმზირა და სოია უთესია. რამდენიმე ჰექტარზე ასაღებია ბუნებრივი ბალახიც. სილოსის დამზადება დაწყებული არ არის.

— სასილოსე მასის აღება და მიზიდვა რომ დავიწყო, გამიფუჭდება, რადგან სილოსის საჭრელი მანქანა არა მაქვს, — განაცხადა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. აღაჯანაშვილმა და იქვე დასძინა, — ხაშურის სარემონტო-ტექნიკური სადგურიდან ამოვიტან სილოსის საჭრელ კომბაინსო. საინტერესოა, როდის?

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სილოსის დამზადებასა და მის ხარისხზე რაიონის ზოგიერთ ხელმძღვანელ მუშაკს არასწორი შეხედულება აქვს. პარტიის რაიკომში აცხადებენ, როცა სიმინდის ტარო სამარცვლედ შემოვა და მოვტეხთ, შემდეგ ჩალას მოვჭრით და დავასილოსებთო. ხოლო ყველასათვის ცნობილია, რომ სიმინდის მასა მაშინ არის დასასილოსებლად კარგი, როცა რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეშია, ხოლო როცა სიმინდი სამარცვლედ შემოდის, უმრავლეს შემთხვევაში მისი ჩალა გამხმარია და სასილოსედ არ გამოდგება.

სილოსის მომზადების საუკეთესო პერიოდი გადის. დაყოვნება ამ საქმეში საზიანოა.

ვ. გურგენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

★

გავაძლიეროთ სილოსის დამზადების ჯემპი

წელს სილოსის რაიონის კოლმეურნეობები 73 ათას ტონა მწვანე მასას დაასილოსებენ. ახლა წარმატებით სრულდება ნაკისრი ვალდებულება. სილოსის ჩადებაში დაწინაურდნენ ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“, ვაქირის სტალინის, საქობოს კეცხოველის, მაჩხაანის მახარაძის სახელობის, ტიბაანის, ჯუგაანისა და სხვა კოლმეურნეობები.

მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ასანიშვილი) ვალდებულება იკისრა წელს 5.500 ტონა სილოსი ჩადოს. 15 აგვისტოსათვის უკვე დასილოსებულია 3.000 ტონა მწვანე მასა.

სილოსის ჩადებაში თავი ისახელეს აგრეთვე სოფელ ჯუგაანის სასოფლო-სამეურნეო არტელის (თავმჯდომარე ი. მატიაშვილი) წევრებმა. მათ უკვე დასილოსეს 1.800 ტონა მწვანე მასა.

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებში 15 აგვისტოსათვის სულ დასილოსებული იყო 20 ათას ტონაზე ცოტა მეტი. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელები არ ჩქარობენ, მწვანე მასა კი კარგა ხანია მომწიფდა. მაგალითად, სოფელ ბოდბისხევის ორივე კოლმეურნეობაში დასილოსება ნელი ტემპით მიმდინარეობს. უარესი მდგომარეობაა მაღაროსა და ულიანოვკის კოლმეურნეობებში. აქ კარგა ხანია მომწიფდა სასილოსე მასა, საჭირო ტექნიკაც აქვთ, მაგრამ დასილოსებას მაინც არ ჩქარობენ.

მაღაროს კოლმეურნეობა „შრომაში“ (თავმჯდომარე ი. უსენაშვილი) ნაკისრი ვალდებულებით წელს 4.000 ტონა მწვანე მასა უნდა დაასილოსონ. 15 აგვისტოსათვის დასილოსებული იყო მხოლოდ 540 ტონა, ულიანოვკის კოლმეურნეობაში კი — 250 ტონა ნაცვლად 2.600 ტონისა.

ნაკლოვანებანი დასილოსების საქმეში საჭიროა სწრაფად გამოსწორდეს.

ფელეტონი კიტრები და მწვანილი საზამთრო გაჭრაზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანამული, ახალმოკრეფილი კიტრები, ხასხასა მწვანილი თვალს იტაცებს, იქით კი წითელი პამიდორის გროვა გიცინით. დახლებზე ყურიგ-ჩაურიგებაა მრავალგვარი ხილი, რომელიც ხასიათოვნო სურნელს აყენებს.

ეს თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებშია, სადაც კოლმეურნეები თავიანთი შრომის ნაყოფს და მონაგარს ჰყიდიან.

... მაგრამ ეს ვინ არის, 26 კომისრის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში ძველი თბილისის კინტოს ყაიდაზე რომ ლიღინებს და თან მუშტარს თავისკენ იხმობს? მას დახლზე პამიდორი და კიტრი დაუხვავებია, ბალახის კონით წყალს ასხურებს, რომ მიმზიდველობა არ დაკარგოს ბოსტნეულს.

— „კიტრები და მწვანილი, პატარძლის დაკრეფილი“, მანქანით მოტანილი... აბა აქეთ, ხასალათე პამიდორი, შუშა კიტრები! ჰაჰ, ჰაჰ, ჰაჰ... შენი ჭირიმე, ვინც იყიდის, ბედს ეწევა, ეი! — ოქროპირობს ფასილ გარსევანოვი.

— რა ღირს პამიდორი?

— 10 მანეთი.

— როგორ, იქით 6 მანეთი ღირს, მალაზიაში კი ხაში მანეთია, შენ რა...

— წადი, ძმაო, იქ იყიდე. შენ პირის გემო თუ იცი...

უმაყოფილო მოქალაქე მაინც ყიდულობს. ამ დროს ბაზრის კარებში დატირთული ავტომანქანა გამოჩნდა, დაგეიანებულ კოლმეურნეს ბოსტნეული მოუტანია.

გარსევანოვს თვალს აბა ეს როგორ გამოეპარებოდა და შემოსასვლელში დაუხვდა. ყუთებში ჩაწყობილი პამიდორი და კიტრი შეათვალიერა.

— ჩვენო ძმა, საიდან არის ეს პამიდორი?

— კახეთიდან.

— რას ადასებ?

— მოიცა, კაცო, გადმოვცალო.

— ეა, ბაზანდა გინდა გაიგო? გეტყვი. კილოგრამი ხუთი მანეთი ღირს. ციცი არ გეცლება, ჰამაც კოლმეურნეობაში გახურებული მუშაობაა, დაიღლები ბაზარში დგომით... მაიტა, ერთბაშად აიღებ.

გარიგების შემდეგ კოლმეურნე ცარიელი ყუთებით უკან ბრუნდება. ვახილ გარსევანოვი კი დახლთან ახალი ძალით გაჩკიტს:

— ეაა; რა მოსულა, სუფრის მშენება, ორთაჭალის პამიდორი მოსულა, შუშა კიტრებიც აქ არის. აბა აქეთ! ეკვიალეთ, კილოგრამი 10 მანეთად!

— საზამთრო გაჭრაზე! — ბანს აძლევს გარსევანოვს ოვანეს კარაპეტოვი სტალინის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრიდან.

— მუხიანის საზამთრო, აქეთ! — იწვევს მყიდველებს გურგენ მინასაშვილი, ოვანესას მეგობარი.

— ასტრახანულია, ხისხლივით წითელი! — აქებს საზამთროს არჩილ მანთაშიანი, თუმცა არც კი იცის, სად წოიყვანეს ოფი.

— შაქარინულივით ტკბილია, აბა იჩქარეთ, თორემ უკვე გაიყიდა! — მუშტარს იხმობს ნასირ ისმაილოვი, მას კვერს უკრავს ირაკლი ესიაშვილი.

— მუხიანი საით არის, იქით? — ეკითხებიან სპეკულანტს.

— ეა, რატომაც არა, ფელაბრისკენ, მტკვრის ნაპირზე, — ობუნჯობს გურგენი.

— არიქა, ბიჭებო, ავტომანქანით საზამთრო მოიტანეს. თქვენ აქ იყავით. არჩილ, შენ ჩემთან!

მოურიგდნენ, შეისყიდეს და ბაზამთროს გადმოცლას შეუდგნენ. ნახირ ისმაილოვი ჩქარობს, თითო ხელით ორ-ორ საზამთროს ეზიდება. მაგრამ... გაუხსლტა ერთი, შეშინებულს ზეორეც გაუშვა და ასფალტზე წითლად გადაიშალა.

— ერთი ხელით ორ ხაზამთროს რომ ვერ დაიჭერდი, ხომ იცოდა. აბა, ნაბუთები გვიჩვენეთ. რომელი სოფლიდან ხართ, სად მუშაობთ? — თავზე წამოადგნენ მილიციის მუშაკები.

ძმაბიჭები უხერხულად აიწურნენ, კრიჭა შეეკრათ.

— სპეკულაციისათვის იცით რა მოგელით?

— ეა, დალოცვილნო, კოლმეურნეებს რომ დავეხმართო, უცებ გავუსაღოდ ხაზამთრო, განა ეს სპეკულაციაა? ბაზრის ხარჯებსაც აიცდენენ, არც დაიღლებიან, თანაც ხამუშაოზე არ მოსცდებიან, — ენაწყლიანობს გურგენ მინასაშვილი.

მაგრამ ენაწყლიანობა მათ ვეღარ უშველით. სპეკულანტები ვ. ვ. ბარსეგიანი, ი. ო. ესიაშვილი, ნ. ვ. ისმაილოვი, ა. ვ. ბანიაშიანი, ვ. ვ. მინასაშვილი და ო. ე. კარაპეტოვი, რომლებიც ობილისში ცხოვრობენ, არსად არ მუშაობენ და ფოლი გზით, სხვისი შრომის ეუსპლოატაციით ხური ცხოვრება, უკვე მიცემული არიან პასუხისგებაში. ისინი მალე წარსდგებიან ხაპეოთა მართლმსაჯულების წინაშე.

ვ. ბოზალიშვილი.

მცხეთის რაიონის ხოფელ ჩარდახის კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს ხასილოსე სიმინდის აღება. კოლმეურნეობამ ვალდებულება აიღო წლევანდელი გეგმით გათვალისწინებული 900 ტონა სილოსის ნაცვლად დაამზადოს 1.200 ტონა, ე. ი. თვითეულ ხაფურაეე ძროხაზე — 18 ტონა. უკვე დასილოსებული აქვთ 200 ტონა მასა. სურათზე: აგრონომი შ. მიქიაშვილი (მარცხნივ) და კომბაინერი ზ. ბიტარიშვილი ამოწმებენ ხასილოსე სიმინდის ხიმწიფეს.

ფოტო შ. ნიბეტიანისა.

მივცეთ სკოლას კარგი სახელმძღვანელოები

რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით 1957 წლის 1 დეკემბრიდან განხორციელდა სახელმწიფო გამომცემლობების რეორგანიზაცია. დაარსდა სასწავლო-პედაგოგიური გამომცემლობა „ცოდნა“, რომელსაც დავალებული აქვს გამოსცეს სახელმძღვანელოები და მეთოდური ლიტერატურა დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი, აგრეთვე სპეციალური სასწავლებლებისათვის.

სახელმძღვანელოების გამოცემის საქმეში, როგორც ცნობილია, ბევრი ნაკლი გვქონდა: წიგნების გამოცემა არ ხდებოდა თანაბრად მთელი წლის განმავლობაში; წლების მანძილზე დამკვიდრებული იყო იერიშობანა, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა საგამომცემლო გეგმების დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე; ბაკლები ყურადღება ექცეოდა სასკოლო სახელმძღვანელოების ფიზიკურულ გაფორმებასა და პოლიგრაფიულ შესრულებას.

ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ზოგიერთი სახელმძღვანელო გადატვირთულია ზედმეტი მასალით. მე-4 კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოში (ავტორები შ. თაბუკაშვილი, ვ. რამიშვილი, თ. ჩერქეზიშვილი) 107 საწარმოებია შეტანილი, აქედან პროგრამის მიხედვით მხოლოდ რამდენიმეა მიჩნეული საკითხავად. იმავე ავტორების ქართული ენის სახელმძღვანელოში მე-3 კლასისათვის 176 ნაწარმოებია შეტანილი (წიგნი 280 გვერდს შეიცავს). ასევე გადატვირთულია არაპროგრამული მასალით მე-3, მე-5, მე-6, მე-7 კლასების რუსული ენის სახელმძღვანელოები. თანაც ქართული ენის მე-3 კლასის „რუსსკოე სლოვო“ ნაკლებად შეეფერება ამ კლასის ბავშვთა ასაკსა და განვითარებას, განათლების სამინისტროს პროგრამას.

ბევრჯერ თქმულა და დაწერილა, თუ რაოდენი ზარალი მოაქვს სახელმწიფოსა და ხალხისათვის სასკოლო სახელმძღვანელოების ყოველწლიურ გადაკეთებას. თუ წინათ ზოგიერთი სახელმძღვანელო ერთხელ გამოდიოდა 2-3 წელიწადში, ახლა გამომცემლობა იძულებულია ყოველწლიურად გამოსცეს ისინი. სახელმძღვანელო, რომლის დამზადებაზეც ათობით ტონა ქაღალდი, მუყაო, პოლიგრაფიული მასალა, გამომცემლობისა და სტამბის მრავალი მუშაკის შრომა დაიხარჯა, ერთი წლის შემდეგ მაკულატურად მიდის. წინათ მოქმედი სახელმძღვანელოების გამოყენების შეუძლებლობა ტირაჟების საგრძნობლად გადიდებას იწვევს. ეს ზედმეტ ტვირთად აწვება პოლიგრაფიულ საწარმოს და ხელს უშლის სხვა სახის ლიტერატურის გამოცემას.

ჩვენ რომ სტაბილური სახელმძღვანელოები გვქონდეს, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა მათი 3-5 წელიწადში ერთხელ დაბეჭდვა მზა მატრიცებიდან. ეს განტვირთავდა სტამბებს, დაზოგავდა დიდ თანხებს.

რამდენიმე დღის შემდეგ ახალი სასწავლო წელი დაიწყება. პირველ სექტემბერს სკოლა კვლავ ფართოდ გაუღებს კარს ჩვენი ქვეყნის ნორჩ თაობას.

სასწავლო - აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმძღვანელოების დროულად გამოცემას და სკოლებისათვის მიწოდებას. რა გააკეთა ამ მხრივ გამომცემლობა „ცოდნამ“? წელს ჩვენ 118 სასკოლო სახელმძღვანელო გამოვეცით 3.184.000 ცალი ტირაჟით. სპეციალიზებული გამომცემლობის ჩამოყალიბებამ ის შედეგი გამოიღო, რომ წელს უფრო ადრე დამთავრდა სახელმძღვანელოების გამოცემა და წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციისათვის ჩაბარება, ვიდრე წინა წლებში. ამასთან ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ ნამდვილი მუშაობა სახელმძღვანელოების გამოცემისათვის წელს დიდი დაგვიანებით დაიწყო: გასული წლის მეოთხე კვარტალში და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ჩვენი მთავარი პოლიგრაფიული საწარმოები ძირითადად ქართული ხელოვნების დეკადისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოცემაზე მუშაობდნენ. მით უფრო დასაფასებელია ის ღვაწლი, რომელიც სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემაში მიუძღვით ჩვენს პოლიგრაფისტებს: ბეჭდვითი სიტყვის კომბინატს (დირექტორი ვ. მეხთეშაშვილი), № 1 სტამბას (დირექტორი ნ. კაკუშაძე), № 2 სტამბას (ყოფ. დირექტორი მ. ვეფხვაძე), № 4 სტამბას (დირექტორი ს. ბაღდასაროვი), „ზარია ვოსტოკას“ სტამბას (დირექტორი შ. ხოხიაშვილი), საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტს“ (დირექტორი შ. წიგნივაძე), მეცნიერებათა აკადემიის სტამბას (დირექტორი ჭ. ლეკავა), სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბას (დირექტორი შ. ცაგარეიშვილი). პატარებისათვის განკუთვნილი წიგნების ფერადი ილუსტრაციები და რუკები დაამზადეს თბილისის ლითო-ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკამ (დირექტორი ე. წიგნივაძე), საქმთავარპოლიგრაფგამომცემლობის ფერადი ბეჭდვის სტამბამ (დირექტორი უ. კერესელიძე) და ფოტოცინკოგრაფიამ (დირექტორი ი. ნაცვლიშვილი), ქ. როსტოვის ილიჩის სახელობის ქრომოლითოგრაფიამ (დირექტორი ა. სკორენკო), თბილისის კარტოგრაფიულმა ფაბრიკამ (დირექტორი ა. პეოვაროვი).

ქართველი მოსწავლეებისა და მასწავლებელთათვის საჭირო ლიტერატურის მომზადება-გამოცემაში მონაწილეობდა ავტორთა და გამომცემლობის მუშაკთა დიდი კოლექტივი და 20-მდე პოლიგრაფიული საწარმო თბილისში, როსტოვში, ქუთაისსა და ბათუმში.

ამ სისწრაფემ სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემაში, ბუნებრივია, თავისი დაღი დააჩნია მათს ხარისხს. მიუხედავად ამისა, მთელი რიგი სახელმძღვანელოები წელს უკეთესად არის გაფორმებული, ვიდრე წინა წლებში (სსრ კავშირის ისტორია მე-4 კლასისათვის, საკითხავი წიგნი ბუნებისმეტყველებაში მე-4 კლასისათვის, ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია, ძველი მსოფლიოს ისტორია). პირველკლასელებისათვის საყვარელი წიგნი „დედა-ენა“ წელს უფრო ადრე დაიბეჭდა (მაისში) ვიდრე წინა წლებში. ამ წიგნის მხატვრულმა გაფორმებამ (მხატვრული რედაქტორი გ. გორდელაძე) სპეციალისტების მაღალი შეფასება მიიღო. ამჟამად ჩვენ გადავდგით ნაბიჯი წიგნის შინაარსის, მასალის დალაგებისა და მხატვრული გაფორმების კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის. ახალ ილუსტრაციებს ამზადებს ნიჭიერი მხატვარი რ. ცუცქირიძე („დედა-ენის“ ახლანდელი დასურათებაც მას ეკუთვნის).

თუ „დედა-ენა“ წამყვან როლს ასრულებს მშობლიური ენის სწავლების საქმეში, ასევეა I კლასის „არითმეტიკაც“. იგი ხელს უწყობს ბავშვში ამ საგნისადმი სიყვარულის გაღვივების საქმეს. სამწუხაროდ, არსებული სახელმძღვანელოს გარეგნული სახე სრულებითაც არ უწყობს ხელს ამას. მიღებულია ზომები, რომ ეს წიგნიც მდიდრულად იქნას დასურათებული. 1959 წელს I კლასის „არითმეტიკა“ ფერადი ილუსტრაციებით გამოვა. წიგნის გაფორმებაზე მუშაობს მხატვარი ბ. ხავთასი.

სსრ კავშირის ისტორია მე-4 კლასისათვის (ავტორები ს. ალექსეევი და ვ. კარცოვი) წელს გამოვიდა მხატვრულად გაფორმებული გარეკანით, მაგრამ არა აქვს ფერადი ილუსტრაციები. გამომცემლობას განზრახული აქვს მომავალი წლის გამოცემისათვის ეს ილუსტრაციები დაბეჭდოს იმავე პოლიგრაფიულ საწარმოში, სადაც ამ წიგნის რუსული ორიგინალი იბეჭდება (ქ. ჯალინინის პოლიგრაფკომბინატი). ამით მიღწეული იქნება ქართული გამოცემის ხარისხის ამაღლება.

ჩვენ არ ვივიწყებთ, რომ სასკოლო სახელმძღვანელო მაგიდის წიგნია მოსწავლისათვის, და ჩვენი ვალია ჩავუნერგოთ ბავშვებს სიყვარული და პატივისცემა სახელმძღვანელოსადმი, ვასწავლოთ მისდამი ფრთხილი მოპყრობა. ამის მიღწევა კი შესაძლებელი იქნება, თუ სახელმძღვანელოს დავბეჭდავთ კარგ ქაღალდზე, მკაფიო შრიფტით, ჩავსვამთ მას ლამაზ ყდაში, მოხერხებულად შეეფურჩვნა ილუსტრაციებს, პორტრეტებს, ნახაზებს. არც ერთ მოძმე რესპუბლიკაში არ გამოდიოდა იმდენი სახელმძღვანელო რბილი ყდით, რამდენიც საქართველოში. 1957 წელს 22 სახელმძღვანელო გამოვიდა რბილი ყდით, 1958 წელს — 3. ამავე დროს ყველამ იცის, თუ რა ხანმოკლეა უყდო სახელმძღვანელოს სიცოცხლე!

წინა წლებისაგან განსხვავებით, 1959 წლიდან გამომცემლობა „ცოდნა“ შეუდგება ქართული ლიტერატურის ზოგიერთი მხატვრული ნაწარმოების ცალკე წიგნებად გამოცემას, რომლებიც საშუალო სკოლაში ისწავლება. ამჟამად ამ ნაწარმოებებს მოსწავლეები ეცნობიან იმ ნაწყვეტების მიხედვით, რაც ქრესტომათიებშია დაბეჭდილი. მაგრამ ეს ნაწყვეტები, ცხადია, სრულ წარმოდგენას ვერ აძლევენ მათ და საჭირო პოპულარობითაც ვერ სარგებლობენ.

ამიტომ ეს ნაწარმოებები ჩვენთან გამოვა ცალ-ცალკე „მოსწავლის ბიბლიოთეკის“ სერიით. ამ სერიის ყოველი გამოცემა მხატვრულად იქნება გაფორმებული და საუკეთესო მხატვრების მიერ შესაბამისად დასურათებული. 1959 წელს განზრახული გვაქვს ცალკე წიგნებად გამოვცეთ გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“, ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“, დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“, ა. ყაზბეგის „ელგუჯა“ და „ხევისბერი გოჩა“, ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი“.

ახალი სასწავლო წლის განმავლობაში დიდი ყურადღება მიექცევა სახელმძღვანელოებისა და დამხმარე მასალების გამოცემას იმ სკოლებისათვის, სადაც საწარმოო სწავლებაა შემოღებული. უფროსი კლასების მოსწავლეები მიიღებენ სახელმძღვანელოებს მანქანათმცოდნეობის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, მეცხოველეობის, ელექტროტექნიკის საკითხებზე.

რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებს, ამ მხრივაც ფართო პროგრამაა დასახული მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოებით სტუდენტებს უზრუნველყოფად. 1959 წელს 70-მდე სახელმძღვანელო გამოიცემა.

ახალ, 1958-1959 სასწავლო წელს გამომცემლობა „ცოდნის“ კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს, რომ უკეთ დააკმაყოფილოს ჩვენი ნორჩი და ახალგაზრდა მკითხველის მოთხოვნილებანი.

შ. ბუაჩიძე,
საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სასწავლო-პედაგოგიური გამომცემლობის „ცოდნის“ დირექტორი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს განცხადება საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტების პრეს-კონფერენციაზე ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 23 აგვისტო. (საკდესი). **საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ** საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტების პრეს-კონფერენციაზე გააკეთა განცხადება, რომელშიც შეაფასა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის შედეგები.

საბჭოთა დელეგაცია, თქვა მან, კმაყოფილია გენერალური ასამბლეის დამთავრებული სესიის შედეგებით, რადგან სესიამ, მიიღო რა განხილული საკითხის გამო არაბთა 10 სახელმწიფოს წინადადება, დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ახლო და შუა აღმოსავლეთში დაძაბულობის შენელების გზაზე, დაძაბულობისა, რაც გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის აგრესიამ ლიბანისა და იორდანიის წინააღმდეგ.

ასამბლეის გადაწყვეტილებამ ასახა იმ ხალხთა ნება, რომლებიც მოითხოვდნენ და მოითხოვენ რაც შეიძლება მალე გაიყვანონ უცხოელთა ჯარები ლიბანიდან და იორდანიიდან, რადგან იქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ საჭიროა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა მალე გაიყვანონ ჯარები ამ ქვეყნების ტერიტორიიდან. ვერავითარი გასამართლებელი მიზეზით და ხრიკებით ვერ დაიწვენენ თავს ამ ფაქტს, და ყოველგვარი ცდა — რაიმე სხვა აზრი მისცენ რეზოლუციის შინაარსს, **ყოვლად უნაადგოა.**

აღნიშნა რა, რომ მიღებული გადაწყვეტილება შეიცავს მოწოდებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყველა სახელმწიფოსადმი **ამოქმედონ** საერთაშორისო ურთიერთობაში ტერიტორიული მთლიანობისა და ერთი მეორის სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემის, თავდაუსხმელობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში მტკიცე ჩაურევლობის პრინციპების შესაბამისად, ა. გრომიკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს მოწოდება წარმოადგენს არა ორკეროფულ გაფრთხილებას იმათთვის, ვინც უხეშად დაარღვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპები, მოახდინა რა შეიარაღებული ინტერვენცია ლიბანიაა და იორდანიის წინააღმდეგ.

ერთხელ კიდევ მოიწონა რა ერთი რომელიმე სახელმწიფოს სხვა სახელმწიფოთა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი, ასამბლეამ ამით აზრი გამოთქვა ყოველგვარი „დოქტრინის“ წინააღმდეგ, რომელთა საშუალებითაც ცდილობენ გამართლონ ექსპანსია და აგრესია ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ.

რა თქმა უნდა, თქვა ა. გრომიკომ, შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ახლა გენერალურმა ასამბლეამ კარგი გადაწყვეტილება მიიღო, უკვე ყველაფერი გაკეთდა ახლო და შუა აღმოსავლეთის მდგომარეობის მოსაწესრიგებლად. არ კმარა კარგი გადაწყვეტილების მიღება; საჭიროა კიდევ უზრუნველყოთ, რომ იგი განხორციელდეს და ამასთან სწრაფად. არ უნდა დავუშვათ მისი შესრულების რაიმე გაჭიანურება.

წაიკითხეს რა სესიაზე ახლო აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის შეიარაღებული ინტერვენციის თითქმის ერთსულოვან დაგმობას, განაცხადა შემდეგ ა. გრომიკომ, ისინი, ვისაც ეკისრება პასუხისმგებლობა ამ ინტერვენციისათვის, ახლა უსათმოვნებას არ იჩინენენ, ყოველნაირად აქებენ არაბთა ნაციონალიზმს, რომელსაც ისინი ჯერ კიდევ გუშინ აგინებდნენ. ძნელია კაცმა დაიჯეროს მათი ეს სიტყვები დღეს. საეჭვოა, რომ ეს სიტყვები სერიოზულად მიიჩნიონ არაბმა ხალხებმა, რომლებმაც კარგად იციან ასეთი კონიუნქტურული გარდაქმნის ფასი.

ა. გრომიკომ შემდეგ აღნიშნა, რომ გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილება იმას მოწმობს, რომ არაბთა ქვეყნებმა კარგი ნაბიჯი გადადგეს თავიანთი ერთიანობის მიმართულებით. ეს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არის არაბთა ქვეყნების ერთიანობის განხორციელების შესაძლებლობა, როცა მათ მოქმედებას საფუძვლად უდევს მშვიდობის ინტერესები, არაბ ხალხთა ეროვნული ინტერესები და არა უცხოეთის წრეების ინტერესები, რომლებიც უცხოა ამ ხალხებისათვის, უცხოეთის წრეებისა, რომელთაც არაბული აღმოსავლეთი ექსპანსიის ობიექტად მიაჩნიათ.

ა. გრომიკომ ამასთანავე ხაზგასმით აღნიშნა, რომ თავიდან აცილებული არ არის იმის საფრთხე, რომ სახელმწიფოებს, რომლებმაც თავიანთი მოქმედებით გამოიწვიეს ახლანდელი დაძაბული მდგომარეობა ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში, შეუძლიათ განაგრძონ ცდები შეიტანონ გათიშვა არაბთა ხალხმწიფოებში და ხელი მოითხონ მათ შორის არსებულ უთანხმოებაზე. მაგრამ შეიძლება ამდენადვე დარწმუნებით ითქვას, რომ არაბთა სახელმწიფოებიხ მიმართ ასეთი პოლიტიკის განხორციელება დღითიდღე უფრო ძნელი და ძნელი ხდება.

შეეხო რა იმ საკითხს, თუ რატომ დაიკავა ასეთი მტკიცე პოზიცია საბჭოთა კავშირმა ახლო და შუა აღმოსავლეთიდან ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ჯარების გაყვანის საკითხში და მტკიცედ მოითხოვს ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას, ა. ა. გრომიკომ განაცხადა: ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნები ჩვენი მეზობლები არიან, და ამიტომ საბჭოთა სახელმწიფოსათვის, მთელი ჩვენი ხალხისათვის სულ ერთი როდია თუ რა ხდება ამ რაიონში. უცხოეთის ჯარების ყოფნა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ტერიტორიაზე, იქ უცხოეთის სამხედრო ბაზების შექმნა და ყოველგვარი ინტრიგა, რომლებიც ქმნიან ამ რაიონში მშვიდობის დარღვევის საფრთხეს, უშუალო საფრთხეს წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის უშიშროებისათვის.

საბჭოთა კავშირი ითვალისწინებს აგრეთვე იმას, რომ დაძაბულობა და მით უმეტეს მშვიდობის დარღვევა ამ რაიონში საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობის საქმეს.

დასასრულ ა. გრომიკომ კმაყოფილება გამოთქვა გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის შედეგების გამო, რომელიც მოწვეულ იქნა საბჭოთა კავშირის წინადადებით და რომელმაც ფრიად სასარგებლო საქმე გააკეთა.

მაო ძე-დუნი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები არჩეული არიან სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დეპუტატად

პეკინი, 23 აგვისტო. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, სრულიად ჩინეთის მეორე მოწვევის სახალხო წარმომადგენელთა კრების 29 დეპუტატს შორის პეკინისაგან არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე მაო ძე-დუნი და მისი თანამებრძოლები ლიუ შაო-ცი და ჯოუ ენ-ლაი. ისინი ერთხმად არიან არჩეული პეკინის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიაზე.

კანდიდატურების განხილვის დროს სესიის დელეგატები აცხადებდნენ, რომ მათ მიაჩნიათ დიდ პატივად და ბედნიერებად აირჩიონ თავმჯდომარე მაო ძე-დუნი სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დეპუტატად. კომუნისტური პარტიის და თავმჯდომარის მაო ძე-დუნის მეთაურობით, აღნიშნეს დეპუტატებმა, ჩვენ მოვიპოვეთ უდიდესი გამარჯვებანი სოციალისტურ რევოლუციასა და სოციალისტურ მშენებლობაში. იმავამად კომუნისტურ პარტიას და თავმჯდომარეს მაო ძე-დუნს სოციალისტური მშენებლობის გენერალური გეზის განხორციელების გზით მივყავართ კიდევ უფრო ბედნიერი დღეებისაკენ.

ბიულეტენების დათვლის შედეგების გამოცხადების შემდეგ სესიის დელეგატები მჭეხარე ოვაციით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ მაო ძე-დუნი, ლიუ შაო-ცი და ჯოუ ენ-ლაი ერთხმად არიან არჩეული სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დეპუტატებად.

არჩეულ დეპუტატთა შორის არიან აგრეთვე პეკინის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარე პინ ჯენი, მშენებელთა ბრიგადირი ჯან ბეი-ფა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის თავმჯდომარე ინ ვეი-ჩენი, მწერალი ლაო შე, ცნობილი მსახიობი მეი ლან-ფანი და სხვები.

ერმენეფილი ნეკროლოგი

ლეონტი ვასილის-ძე ელიავშვილი

უეცრად გარდაიცვალა მედიცინის დოქტორი, უღალავი მუშაკი, თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი და სპეციალისტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ლეონტი ვასილის-ძე ელიავშვილი.

ლ. ელიავშვილი დაიბადა 1893 წელს სოფ. გელათში (ტყიბულის რაიონი), ღარობი გლების ოჯახში. ქუთაისის **გიმნაზიის** დამთავრების **შემდეგ 1914 წლიდან** სწავლა განაგრძო **პეტერბურგის** სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში, რომელიც 1920 წელს დაამთავრა.

1921-1930 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო-გინეკოლოგიურ კლინიკაში ჯერ ორდინატორად, შემდეგ — ასისტენტად. 1924 წელს ჩაბარა სადოქტორანტურა და მოიცადები, ხოლო 1930 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ამავე წელს მას ირჩევენ დოცენტად. **მისი** შემდეგ განაგრძობს ნაყოფიერ მეცნიერო-პრაქტიკულ მუშაობას — კითხულობს ლექციებს ოპერაციულ გინეკოლოგიასა და გინეკოლოგიაში.

1933-1937 წლებში ლ. ელიავშვილი მუშაობდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატში სამშობიაროო დახმარების სექტორის გამგედ. წლების მანძილზე იყო **რესპუბლიკის მთავარი მეან-გინეკოლოგი.**

პროფ. ლ. ელიავშვილს დიდი ღვაწლი მოუძღვის დედათა და ბავშვთა დაცვის რესპუბლიკური სამეცნიერო-საკვლევი **ინსტიტუტის** ჩამოყალიბებაში. იგი დიდ მუშაობას ეწეოდა არა მარტო თბილისში, არამედ რესპუბლიკის რაიონებში. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით პირველად საქართველოში საფუძველი ჩაეყარა **ხაოოლმეურნეო** სამშობიაროებს.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ლ. ელიავშვილი ინიშნება ერთ-ერთ ჰოსპიტლის სამედიცინო-სანიტარული ნაწილის უფროსად. 1946 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე განაგრძობს თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის სამეანო-გინეკოლოგიურ კათედრას, ხოლო მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ასობით ექიმ-სპეციალისტი.

ლ. ელიავშვილის ცხოვრება 50-მდე შრომა თეორიული და პრაქტიკული მედიცინის აქტუალურ საკითხებზე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შესრულებულია მრავალი ათეული მეცნიერო შრომა, მათ შორის რამდენიმე დისერტაცია. იგი იყო არა მარტო გამოჩენილი მეცნიერი, არამედ საოცარი ორგანიზატორი და ოპერატორი. **მის** მარჯვენას ბევრი დედა და ბავშვი უხსნია **გასაოცდელისაგან.**

ლ. ელიავშვილი მრავალი წლის მანძილზე ღირსეულად ასრულებდა თბილისის მშრომელთა დეპუტატების სოფ. **ლავრის** საბჭოს **დეპუტატის** სიპატიო მანდატს. უკანასკნელი წლების განმავლობაში თვალუფოდა მეან-გინეკოლოგიურ საკავშირო საზოგადოების გამგეობის წევრად და თბილისის მეან-გინეკოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარედ. ... **ლი ჩაეყარა ხაოოლმეურნეო** სამშობიაროებს.

ლ. ელიავშვილის ხანგრძლივი ნაყოფიერი და უმჯობესი მოღვაწეობა ღირსეულად დაგვანახა პარტიამ და მთავრობამ. 1957 წელს მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლებით.

ლ. ელიავშვილის ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მისი მოწაფეებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი პ. რატიანი.

დღეს

ფილარმონიის საზაფხულო თეატრში — ბალი სავოიაში (ოდესის მოსაკალორი კომედიის თეატრის სპექტაკლი, დასაწყისი 8 ს. 30 წ.).

კინოთეატრებში

ოქტომბერი, ამირანი (საზამთრო), **ამირანი** (საზამთრო), **ხმარტაკი, კოლორების ბალი, 26 კომისრის ხახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **საქართველო** (საზაფხულო), **ჭავჭავაძის ხახელობის კლუბი, პლეხანოვის ხახელობის** (საზამთრო) — **ვეფხისტყაოსანი, ამირანი** (საზაფხულო) — **დონ სეზარ დე ბაზანი, ფილარმონია ბალი, 26 კომისრის ხახელობის** (მეორე დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **კიროვის ხახელობის პარკი, ორჯონიკიძის ხახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** (საზაფხულო) — **გერი ძმები, ისანი** (საზაფხულო) — **დარიკო, თბილისი, პლეხანოვის ხახელობის კლუბი** (საზაფხულო) — **მექსიკის სერენადა, ოფიცერთა სახლი** — **სათავგადასავლო ... ნოფილმების ფესტივალი, კომკავშირელი, კოლხიდა** (საზამთრო), **ძერჟინსკის ხახელობის კლუბი** (საზაფხულო), **ყაზბეგი, სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი** — **სიმღერა პირველი სიყვარულისა.**

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ქალის ფიზიოლოგიის და პათოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივი იუწყება მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ

ლეონტი ვასილის-ძე ელიავშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თანამშრომელთა კოლექტივი იუწყება ტექნიკური სამმართველოს უფროსის, მოადგილის, საბჭოს წევრის, ინჟინერ

პავლე ირაკლის-ძე ბურჯანაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27-VIII 8 ს. გადასვენება 28-VIII, 6 ს. ლენინის ქ. № 11.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესია

ნიუ-იორკი, 22 აგვისტო. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის 21 აგვისტოს დღის სხდომა საათნახევრით გვიან დაიწყო იმის გამო, რომ რეზოლუციის პროექტს, რომელიც არაბული ქვეყნების დელეგაციებმა შეიმუშავეს, წინასწარ განიხილავდა მთელი არაბული და აზიის ქვეყნების ჯგუფის წარმომადგენელთა თათბირი.

სხდომის დასაწყისში სუდანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მუჰამედ მაჰგუბმა ათივე არაბული სახელმწიფოს (ერაყი, იორდანია, ლიბანი, ლიბია, მაროკო, საუდის არაბეთი, სუდანი, ტუნისი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა და იემენი) სახელით შეიტანა ახალი რეზოლუციის პროექტი. პროექტი წინადადებას აძლევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს მიიღოს პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ წესდების მიზნებისა და პრინციპების დაცვას ლიბანისა და იორდანიის მიმართ და ამით ხელს შეუწყობენ უცხოეთის ჯარების რაც შეიძლება სწრაფად გაყვანას ამ ორი ქვეყნიდან. რეზოლუციის პროექტი ითვალისწინებს, რომ არაუგვიანეს 1958 წლის 30 სექტემბრისა გენერალურმა მდივანმა უნდა წარადგინოს მოხსენება მდგომარეობის შესახებ.

სუდანის საგარეო საქმეთა მინისტრმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ მის მიერ შეტანილ რეზოლუციის პროექტს ერთსულოვნად უჭერენ მხარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარმოდგენილი ყველა არაბული ქვეყანა, აგრეთვე არაბები, რომლებიც ჯერ არ არიან ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები.

შემდეგ გამოვიდა ნორვეგიის წარმომადგენელი. ნორვეგიის წარმომადგენლის შემდეგ სიტყვა აიღო პრეზიდიუმის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა.

ცდილობდა რა დაეცვა ამერიკის შეერთებული შტატების პრესტიჟი და მიეჩქმალა იძულებული უკანდახევა, დალესი ამტკიცებდა, რომ თითქოს არაბული ქვეყნების მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტი, გარდა „დაფორმულებისა“, არაფრით არ განსხვავდება ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით მომზადებული „შვიდთა“ რეზოლუციის პროექტისაგან. მან განაცხადა, რომ, თუმცა „შვიდთა“ რეზოლუციის პროექტის დაფორმულება „უმჯობესია“ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციისათვის, მაგრამ იგი ხმას მისცემს არაბული ქვეყნების რეზოლუციის პროექტს.

ასეთივე სულისკვეთებით გამოვიდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლოიდი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, რომელიც ლოიდის შემდეგ გამოვიდა, განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციის აზრით, შესაბამისად ლიბანის ტერიტორიიდან და იორდანიის ტერიტორიიდან ამერიკისა და ინგლისის ჯარების გაყვანის საკითხის განხილვის შედეგად სახელმწიფოთა დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ამ ჯარების დაუყოვნებლივ, სასწრაფოდ გაყვანას აღნიშნულ სახელმწიფოთა ტერიტორიიდან.

რეზოლუცია, რომელიც წარმოდგენილია 10 არაბული სახელმწიფოს მიერ ერთმანეთს შორის შეთანხმებით, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე საკმაო არ არის დაფორმულება, შეესაბამება მთავარ ამოცანას, რომელიც გენერალური ასამბლეის წინაშე იდგა: მხარი დაუჭიროს იმას, რომ სასწრაფოდ გაყვანილ იქნენ ამერიკისა და ინგლისის ჯარები ახლო აღმოსავლეთიდან, და არსებითად ემთხვევა საბჭოთა კავშირის წინადადებას, რადგან ამ რეზოლუციაში ნათქვამია ის ძირითადი, რაც უნდა ეთქვა გენერალურ ასამბლეას.

ჩვენ გვინდა გამოვთქვათ იმედი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი თავის მხრივ არ შეეცდებიან სხვადასხვა საბაბით, სხვადასხვა უსაფუძვლო მიზეზების დამოწმებით, გაჰიჭიტონ ამერიკისა და ინგლისის ჯარების გაყვანა — წინააღმდგნენ გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებას.

თუ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობა სერიოზულად არ გაუწევენ ანგარიშს ამ გადაწყვეტილებას და სხვადასხვა საბაბით გაჭიანურებენ თავიანთი ჯარების გაყვანას ლიბანისა და იორდანიის ტერიტორიიდან, საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ახლავე განაცხადოს, რომ იგი კვლავ დაიყენებს ამ საკითხს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე გენერალური ასამბლეის მორიგ სესიაზე.

დასასრულ ა. გრომიკო საბჭოთა დელეგაციისა და საბჭოთა მთავრობის სახელით მიესალმა არაბული ქვეყნების შეთანხმების ფაქტს, რომლის შედეგად მათ შემოიტანეს შეთანხმებული წინადადება ახლო აღმოსავლეთიდან ამერიკისა და ინგლისის ჯარების გაყვანის საკითხზე. ეს, თქვა მან, კარგი მაგალითია, რომელიც მხოლოდ სარგებლობას მოუტანს არაბულ სახელმწიფოთა ინტერესებს, ახლო და შუა აღმოსავლეთში ვითარების ნორმალიზაციის ინტერესებს, ამ რაიონში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს, საყოველთაო მშვიდობის ინტერესებს.

გენერალურმა ასამბლეამ, რომელმაც ასე დაამბოლოვა თავისი მუშაობა, კარგი სამსახური გაუწია მშვიდობის ინტერესებს და გააკეთა სასარგებლო საქმე. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ არა მარტო საბჭოთა ხალხი, არამედ სხვა სახელმწიფოთა ხალხებიც, რომლებიც წარმოდგენილი არიან, ან არ არიან წარმოდგენილი დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ამ გადაწყვეტილების გამო გამოთქვამენ მხოლოდ უდიდეს კმაყოფილებას.

სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ცეილონის, იაპონიის, ინდოეთის, ფილიპინების, ჰოლანდიის, ავსტრალიის, ბელგიის, სალვადორის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, საბერძნეთისა და ისრაელის დელეგატები.

შემდეგ კენჭი ეყარა არაბული ქვეყნების რეზოლუციის პროექტს და მიღებულ იქნა ერთხმად (80 ხმა).

საბჭოთა კავშირის რეზოლუციის პროექტს და „შვიდთა“ პროექტს კენჭი არ ეყარა.

ახლო აღმოსავლეთის შესახებ რეზოლუციის მიღების შემდეგ ასამბლეის დასამტკიცებლად წარმოდგენილი იყო სამანდატო კომისიის მოხსენება. კომისიამ წესრიგზე ცნო ჩანკაიშელის რწმუნებანი, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უკანონოდ უჭავია ის ადგილი, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას ეკუთვნის. კომისიამ აგრეთვე სრულიად უსაფუძვლოდ და სრულიად თვითნებურად საეჭვოდ მიიჩნია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის რწმუნებანი.

ამ საკითხზე გამოვიდა ინდოეთის დელეგატი, რომელმაც განაცხადა, რომ იგი მისცემს ხმას სამანდატო კომისიის მოხსენების დამტკიცებას, მაგრამ მხოლოდ ისე, რომ თავის აზრს გამოთქვამს ჩინეთის წარმომადგენლობის გამო, აგრეთვე კომისიის შენიშვნის გამო უნგრეთის დელეგაციის შესახებ. ინდოეთის პოზიცია ამ საკითხებში, თქვა მან, კარგად ცნობილია.

უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ენდრე შიკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამანდატო კომისიამ გადაჭარბა თავის რწმუნებებს, როცა შენიშვნა გააკეთა უნგრეთის დელეგაციის შესახებ, რამდენადაც უნგრეთის დელეგაციის რწმუნებები შეესაბამება ყველა დადგენილ მოთხოვნას.

შემდეგ სიტყვა მიეცა სსრ კავშირის წარმომადგენელს ა. ა. სობოლევს.

სამანდატო კომისიის მოხსენების განხილვასთან დაკავშირებით, თქვა ა. ა. სობოლევმა, საბჭოთა კავშირის დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია კვლავ მიაქციოს გენერალური ასამბლეის ყურადღება იმ პირების რწმუნებათა საკითხს, რომლებსაც უკანონოდ, წესდების საწინააღმდეგოდ უკავიათ ჩინეთის ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში.

ყველამ უკვე დიდი ხანია იცის, რომ ეს კერძო პირები, რომლებიც ჩინეთის ადგილს იკავებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, სრულებითაც არ არიან დიდი ჩინეთის წარმომადგენლები, არამედ არიან მხოლოდ პოლიტიკური ბანკროტების ხროვის აგენტები, რომლებიც უკანასკნელ დღეებს ითვლიან ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების საფარ ქვეშ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად ჩინეთის წარმომადგენელი გენერალურ ასამბლეაში, ისევე როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებში, შეიძლება იყვნენ მხოლოდ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის — ჩინეთის ერთადერთი კანონიერი მთავრობის მიერ დანიშნული წარმომადგენლები.

გენერალურმა ასამბლეამ, ხაზგასმით აღნიშნა ა. ა. სობოლევმა, დროა ბოლო მოუღოს ისეთ პრაქტიკას, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ემორჩილება ცალკეულ სახელმწიფოთა ვიწრო ინტერესებს, და აღკვეთოს არანორმალური მდგომარეობა ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხში, აღადგინოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ წარმომადგენელთა უფლებანი.

რაც შეეხება იმ პირებს, რომლებსაც ჩინეთის ადგილი უკავიათ, ასამბლეას არავითარი საფუძველი არა აქვს ნამდვილად აღიაროს მათი რწმუნებანი, რადგან აღნიშნული პირები არავის წარმომადგენლები არ არიან, გარდა თავიანთი თავისა, და უფლება არა აქვთ გამოვიდნენ როგორც ჩინეთის წარმომადგენლები.

მეორე საკითხი სამანდატო კომისიის მოხსენებასთან დაკავშირებით, რომელსაც საბჭოთა დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია მიაქციოს გენერალური ასამბლეის ყურადღება, თქვა საბჭოთა წარმომადგენელმა, — ეს არის შეერთებული შტატების მიერ კვლავ ინსპირირებული კომისიის გადაწყვეტილება, რომელიც მიზნად ისახავს საეჭვო გახადოს იმ რწმუნებათა ნამდვილობა, რომლებიც მიანიჭა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციას მისმა კანონიერმა მთავრობამ.

საბჭოთა დელეგაცია კატეგორიულად წინააღმდეგი იყო და წინააღმდეგია ამ გადაწყვეტილებისა, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, ზიანს აყენებს ჩვენს ორგანიზაციას, კიდევ უფრო წამლავს საქმიან ატმოსფეროს გენერალურ ასამბლეაში, რაც ესოდენ საჭიროა მისი წარმატებით მუშაობისათვის.

სამანდატო კომისიას და გენერალურ ასამბლეას არ ჰქონდათ არავითარი საფუძველი საეჭვოდ გაეხადათ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის რწმუნებანი. გადაწყვეტილება, რომელიც თავს მოახვიეს კომისიას, მცდარი და მავნეა, რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და ეწინააღმდეგება მის წესდებას.

იმისათვის, რომ საეჭვო არ დარჩეს ჩვენი პოზიციის უცვლელობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის წარმომადგენლობისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის რწმუნებათა მიმართ, განაცხადა ა. ა. სობოლევმა, საბჭოთა დელეგაციას, ხმას აძლევს რა დელეგაციათა რწმუნებების შესახებ მოხსენების დამტკიცებას, საჭიროდ მიაჩნია გააცნოს ეს თავისი პოზიცია გენერალური ასამბლეის წევრებს.

შემდეგ გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ლოჯი. მისმა გამოსვლამ ცხადყო, თუ ვინ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სამანდატო კომისიის მოხსენების დებულებათა ჭეშმარიტი ინიციატორი, რომელთა საფუძველზე ჩინეთის კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჯერ კიდევ უკავია ჩანკაიშელთა ხროვის წარმომადგენელს, ხოლო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელთა რწმუნებების შესახებ თითქმის ორი წლის განმავლობაში არ არის მიღებული არავითარი გადაწყვეტილება. ლოჯმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავაც ვაილშქრებენ იმის წინააღმდეგ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მიენიჭოს ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის რწმუნებების საკითხის გადაწყვეტის წინააღმდეგ.

ბირმის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მისი დელეგაცია არ ცნობს ჩანკაიშელის რწმუნებებს და მიაჩნია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლის არ დაშვება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ზიანს აყენებს უწინარეს ყოვლისა თვით ამ ორგანიზაციას.

ანალოგიური განცხადებანი გააკეთეს ინდონეზიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ნეპალის, ცეილონის, კამბოჯის წარმომადგენლებმა.

ენერგიული პროტესტი განაცხადეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ბულგარეთისა და ალბანეთის წარმომადგენლებმა.

იუგოსლავიის დელეგატმა აგრეთვე განაცხადა, რომ მისი დელეგაცია დადებით ხმას მისცემს კომისიის მოხსენებას, მაგრამ ეს არ უნდა იქნას გაგებულ ისე, თითქოს იგი ეთანხმებოდეს მოხსენების დებულებებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის შესახებ.

კომისიის მოხსენება დამტკიცებულია 71 ხმით. უნგრეთის დელეგაციამ ხმა მისცა წინააღმდეგ.

ამით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურმა სესიამ დაამთავრა მუშაობა.

მარცხით დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების ცდა გაეშვათ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი

ნიუ-იორკი, 24 აგვისტო. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, კანაველალის კონცხიდან (ფლორიდის შტატი), დღეს იქ შეერთებულმა შტატებმა სცადეს გაეშვათ „იუპიტერ-ს“ რაკეტის საშუალებით დაახლოებით 17 კილოგრამიანი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი.

გაშვებიდან ექვსი საათის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ეს ცდა წარუმატებლად დამთავრდა.

მაო ძე-დუნი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები არჩეული არიან სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დეპუტატად

პეკინი, 23 აგვისტო. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, სრულიად ჩინეთის მეორე მოწვევის სახალხო წარმომადგენელთა კრების 29 დეპუტატს შორის პეკინისაგან არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე მაო ძე-დუნი და მისი თანამებრძოლები ლიუ შაო-ცი და ჯოუ ენ-ლაი. ისინი ერთხმად არიან არჩეული პეკინის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიაზე.

კანდიდატურების განხილვის დროს სესიის დელეგატები აცხადებდნენ, რომ მათ მიაჩნიათ დიდ პატივად და ბედნიერებად აირჩიონ თავმჯდომარე მაო ძე-დუნი სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დეპუტატად. კომუნისტური პარტიის და თავმჯდომარის მაო ძე-დუნის მეთაურობით, აღნიშნეს დეპუტატებმა, ჩვენ მოვიპოვეთ უდიდესი გამარჯვებანი სოციალისტურ რევოლუციასა და სოციალისტურ მშენებლობაში. იმავამად კომუნისტურ პარტიას და თავმჯდომარეს მაო ძე-დუნს სოციალისტური მშენებლობის გენერალური გეზის განხორციელების გზით მივყავართ კიდევ უფრო ბედნიერი დღეებისაკენ.

ბიულეტენების დათვლის შედეგების გამოცხადების შემდეგ სესიის დელეგატები მჭეხარე ოვაციით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ მაო ძე-დუნი, ლიუ შაო-ცი და ჯ